

პარლამენტის პრინციპული ბიბლიოთეკა



K 80.219/3




გალაქვიონ ჭავჭავაძის

წ ი რ ი კ ა

საქართველოს  
საზღვრო  
სამართლებრივი  
სამსახური

კ 80.219  
3



საბლიტვაში

1940

801.092 [თავი, 2]  
თავი, ვაქცინა

სახკომლო ბიბლიოთეკა




სკვ-2000  
ფორფორა

2112

1048

8-



## გალაქტიონ ტაბიძე

(ბიოგრაფიული ცნობები)

გალაქტიონ ტაბიძე დაიბადა 1892 წელს. მამა პოეტისა, პროფესიით მასწავლებელი, მეტად კულტურული ადამიანი ყოფილა. იგი გარდაცვლილა ორი თვით ადრე შვილის დაბადებამდე. გაზეთ „ივერიას“ აღუნიშნავს კიდევც მისი გარდაცვალება, როგორც კულტურული დანაკლისი. მის შემდეგ ოჯახს დარჩენია მემკვიდრეობად საკმაოდ დიდი წიგნთსაცავი, რომელსაც დიდი როლი შეუსრულებია მომავალი პოეტის გონებრივი განვითარების საქმეში.

ახალგაზრდა დედის თავდადებული მზრუნველობით პოეტს ექსვი წლის ასაკში უკვე მშვენივრად შეუთვისებია წერა-კითხვა. იგი გატაცებით და ხარბად კითხულობდა წიგნებს და წლებთან ერთად თანდათანობით ეცნობოდა მამის დანატოვარ უამრავ წიგნს, ჟურნალებს, გაზეთებს და ძველ ხელნაწერებს.

პირველი ლიტერატურული ცდები პოეტისა იწყება ბავშვობის ასაკში. 10 წლისა იგი წერდა ლექსებს.

გ. ტაბიძის პირველი ლექსი დაიბეჭდა 1908 წელს. ამის შემდეგ იგი გამუდმებით თანამშრომლობს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. უსასტიკესი რეაქციის პერიოდში პოეტი უახლოვდება ბოლშევიკურ წრეებს, ესწრება და მონაწილეობს არალეგალურ კრებებზე, სადაც კითხულობს თავის ლექსებს.

1914 წელს გამოდის ვალ. ტაბიძის ლექსების პირველი კრებული, რომელიც ძლიერ ჩქარა ხდება პოპულარული, ამის შემდეგ პოეტი მოგზაურობს მთელ საქართველოში, მართავს

ლიტერატურულ-შემოქმედებით საღამოებს, გამოდის ლექსების კითხვით და ხალხის ფართო მასებში აღვიძებს ინტერესსა და სიყვარულს პოეზიისა და საერთოდ მწერლობისადმი.

ოქტომბრის რევოლუციისთანავე გ. ტაბიძე მიეშურება პეტროგრადში და ხდება მოწმე ოქტომბრის პირველი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის დღეებისა და ამბებისა. ამ პირველმა შთაბეჭდილებებმა და განწყობილებებმა თავისი მხატვრული განხორციელება ჰპოვა შემდგომ პოეტის საუკეთესო ლექსებსა და პოემებში.

1919 წელს გამოდის გ. ტაბიძის ლექსების მეორე კრებული. გ. ტაბიძე ერთი იმ პირველ ქართველ პოეტთაგანი იყო, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უყოყმანოდ დადგა მუშათა კლასის პოზიციებზე და მისი მიზნებისა და ამოცანებისათვის ბრძოლაში ბასრ იარაღად გამოიყენა თავისი მძლავრი პოეტური მეტყველება.

გარდა წვრილი ლექსებისა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ პერიოდში გ. ტაბიძის კალამს ეკუთვნის პოემა „ჯონ რიდი“, რომელიც ცალკე წიგნად გამოვიდა 1924 წელს, სამი წლის შემდეგ სახელმწიფო გამომცემლობა სცემს გ. ტაბიძის ლექსების სრულ კრებულს ერთ დიდ ტომად. მას მოსდევს მთელი რიგი ნაწარმოებები: „ეპოქა“ (1927 წ.), „ბაციფიზმი“ (1930 წ.), „საით მიდის რევოლუციური საქართველო“ (1931 წ.) და სხვ.

სახელმწიფო გამომცემლობის მიერ ჯერჯერობით გამოცემულია გ. ტაბიძის I, II და III ტომები.

გ. ტაბიძე უახლოეს მონაწილეობას იღებდა და იღებს საბჭოთა მწერლობის ყველა აქტუალურ საკითხში, იგი გულდასმით სწავლობს და აკვირდება თანამედროვე ცხოვრებას, სოციალისტურ აღმშენებლობას და თავისი იდეურ-შემოქმედებითი მუშაობით ხელს უწყობს მუშათა კლასის მიერ სოციალიზმის განმტკიცებისათვის წარმოებული დიადი ბრძოლის საქმეს.

1933 წლის მაისში გადახდილ იქნა პოეტის სამწერლო ასპარეზზე ოცდახუთი წლის მოღვაწეობის ფართო იუბილე.



1933 წელს საქართველოს საბჭოთა მთავრობამ გ. ტაბიძეს  
შიანიჭა სახალხო მწერლის სახელწოდება, ხოლო 1936  
წელს იგი დააჯილდოეს ლენინის ორდენით.

1935 წ. მონაწილეობას იღებდა, როგორც საბჭოთა კავში-  
რის დელეგატი, მწერალთა მსოფლიო კონგრესზე პარიზში.

1938 წ. საქართველოს მწერლობამ იშვიათი სიყვარულითა  
და პატივისცემით აღნიშნა გ. ტაბიძის 30 წლის სამწერლო  
შოღვაწეობა.

---

დროშები ჩქარა!

გათენდა, ცეცხლის მზე აენტო, აცურდა...

დროშები ჩქარა!

თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,  
ვით დაჭრილ ირმების გუნდს—წყარო ანკარა.

დროშები ჩქარა!

დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს,  
ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა,  
მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს.

დროშები ჩქარა!

დიდება, ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით,  
ვინც მედგრად დახვდება მტრის რისხვა-მუქარას!  
გათენდა! შეერთდით, შეერთდით, შეერთდით!  
დროშები, დროშები, დროშები ჩქარა!

1917 წ.



## ათრობდა ხალხთა მწუხარება

ათრობდა ხალხთა მწუხარება, სისხლის აუზი,  
მისი სასახლე მონად ჰყავდა აღფრთოვანებას,  
მოლაღატეთა შთაგონებით სცემდა ბრძანებას  
და მედიდურად ხელს აწერდა: ნიკოლოზი.

ლაჩარი იყო, ქვეყნის ბედი, დეღვა, ქაოსი  
ფრეილინების და დედოფლის ბედს მიანება...  
ჩვენ კი სიმართლის ციხეებში დაგვიანება  
გულს გვისერავდა, როგორც ზარი სასაფლაოსი.

კუბოებისთვის მეკუბოვებს ხე აღარ ეყო,  
ხე არ ჰყოფნიდა მეფეს კაცთა ჯვარზე საცმელად,  
მაგრამ გამოჩნდა სიხარული კაცთ დასახსნელად.

ამხანაგებო! განახლების ზარმა დარეკა,  
ტანტი დაეცა და იმედად ქაოსზე დგება  
თანასწორობა, რესპუბლიკა, თავისუფლება!

იმპერიალისტური ოპის  
კომპარი

ნუ ქვითინებს ჭიანჭური,  
დააჩუმეთ თარი,  
არაადამიანური,  
ავი დარის დარი!  
ო, ნუ მღერი! როცა მღერი,  
ზღვები, მთა და ბარი —  
ყველაფერი, ყველაფერი  
თითქო რიგზე არი,  
თითქო მწარე ფრთებით მძლავრი  
ქარი გულს არ სცემდა,  
განუყრელი თანამგზავრი  
ხეტიალთა ჩემთა;  
არ ყოფილა თითქო ბნელი  
ძნელი ღამის კალთა,  
თანამგზავრი განუყრელი  
ჩემთა ხეტიალთა.  
დააჩუმეთ ჭიანჭური,  
ნუ ლულუნებს თარი,  
არაადამიანური,  
ავი დარის დარი!  
მაგრამ ჩუმაღ! ო, ეს რაა?  
მწარე, ძნელზე ძნელი,  
გაილანდა ათას ცხრაას  
მეთოთხმეტე წელი.  
შემდეგი წლები.  
სანგრები.  
საგუშაგოზე დგას ჯარისკაცა,

ღამეა, ყინავს,  
სადღაც ორკესტრის ისმის კისკასი,  
სადღაც მზე ბრწყინავს;  
აქ კი სახლის წინ რა ამინდია!  
კედელზე შუქად,  
ლურჯ ხაზებად და ტბებად ჰკიდია  
ევროპის რუკა.  
და, ჯარისკაცი რუკის ლურჯ ხაზებს  
თითებით სინჯავს,  
მახლობელ სანგრებს ყინვა აბრაზებს  
და აი დინჯად  
ტრანშეებიდან ამოდის ორი,  
შემდეგ მრავალი,  
ჯარისკაცების აჩრდილი შორი  
ჩანს მომავალი.  
დახეულ ჩექმებს, დაღრღნილ ფარაჯებს,  
დაცვეთილ ქუდებს  
ქარის და ყინვის ფრთა უდარაჯებს  
და გულს ამტუტებს.  
უცებ სანგრიდან ამოდის ბოლი,  
ქარი დაუბერს,  
ველებს სივრცე და მთების ზოლი  
ისმენს საუბარს:  
— განა ეს არის ტანისამოსი?  
— მხოლოდ ჩვრებია!  
— აჰ, მეომარის ბედის ნამუსი...  
— გაგკარებია?  
— დაცხრილულია ფარაჯის ტევა...  
— ტყვიების დროა.  
— სადაც კი გავწევ, იქვე ირღვევა,  
— ისე ვიწროა.  
— ჩემი ფარაჯა სრულია მეტად!  
— წყევლა ამ ამბებს!  
— ო, ეს შარვლებიც მთლად დახრულია!

- ვითომ დაბამბეს!
  - თქვენ გეცინებათ, აი სიმრუდე...
  - სხვა რაღა გვატკობს?
  - საოცარია, რომ ეს ცხვრის ქუდიც...
  - ვითომღა გვათბობს...
  - თქვენ გეცინებათ ეს სისასტიკე?
  - რომელიც ანგრევს...
  - სოფლებს, ქალაქებს, ანგრევს და იგებს!
  - წყევლა ამ სანგრებს!
  - წყევლა ამ სანგრებს!
  - ყინვავე, გეყოფა ასე ანცობა!
  - არ გინდა ბინდი?
  - ეს ქარიშხალი რამ გააცოფა?!
  - ოჰ, ოჰ! გავეყინდი!
- საგუშაგოზე დგას ჯარისკაცი,  
ვიღაც წერს წერილს,  
ვიღაც გულაღმა მწოლარე ცას  
შესცქერს და მღერის:  
„არ ბრწყინვალეა, არ ენთები,  
გათენდი, თუ გათენდები,  
ღამევე ბნელო!  
შუამთაზე ნისლი არის,  
ათი მთა რომ გაღიაროს  
ტყე და მღელო.  
ეს სიცივეც არეს ყინავეს,  
ცხრა ღამეა, რაც არ გვძინავს  
მთიდან მთაზე,  
თხრილში გვავესებს თოვლის მტვერი,  
არც მოძმე ჩანს, არც ჩანს მტერი,  
და ვართ ასე.
- რა დაგმართია, კოჭლობ, ძმობილო?
  - ვკვდები იარით.
  - აბა, რამდენი გზა კარპატების
  - გამოვიარეთ.

— მერე რა ცუდი და გრძელი გზები,  
— ტალახი, ბანდი.  
— შენც ხმა წაგსვლია, დახრინწიანდი?  
— დავხრინწიანდი!  
რას იზამ, ეხლა საბნების ნაცვლად,  
ყინვით ნაღები,  
ბევრს ნიკოლოოზ მეორის ხურავს  
ბაირაღები.  
— მომე „მახორკა“, დამიცხრეს დაღლა.  
— ინებე, იახში.  
— ო, გავიყინე! კარგია ახლა...  
— სოფელში? სახლში?  
კარგია წყაროს წყალი გემოთი,  
სუნთქვა სიოთი...  
რომ მივდიოდი და ვეცემოდი,  
კვლავ მივდიოდი.  
ზარბაზნების რომ ატყდა ქუხილი,  
გრგვინვა და ჭექა,  
მე ერთადერთი მქონდა წუხილი:  
სოფლების ღეკა.  
შორს ერთადერთი ენთო სანთელი  
ბაღის ტოტებით,  
აქ კი გრივალი, კორიანტელი  
თავგამოდებით.  
— სოფელში თურმე ხვალ თუ ზეგ პური  
აღარ იქნება.  
— ბავშვებს შიშშილი ხოცავს უქმური.  
— ამდენი ვნება!  
ეს ყველაფერი ომის ბრალია,  
ომის ხიწვია.  
მანსოვს, პირველად სოფლიდან ომში  
რომ ვამიწვიეს.  
ეგდო კიბეზე ოქროს კანკელი —  
ჩამავალი მზე ლურჯი ხელებით  
და ღრიანკელი,

ცად შიშვეალი ცისარტყელებით;  
 უღარაჯებდა ცეცქი ბედურა  
 შურიან კატას ბოსტნის კარებთან,  
 სოფელს ეზურა  
 საღამოს ჩრდილი და მდუმარებდა.  
 დროით აფრინდნენ ხეზე ქათმები,  
 დაუცხრომელი დაცხრა მერცხალი,  
 იღვნენ ატმები,  
 გამოჩნდა კვარი და ნაპერწკალი,  
 გადაქცეული ცისფერ გრძნობებად,  
 საღამოს ბოლი ბედნიერ სოფელს  
 ემშვიდობებდა...  
 ემშვიდობებდა ნაცნობ-მეზობელს.  
 ვილაცამ ქოხის გააღო კარი  
 უხელოდ, უხმოდ სუნთქვა დამალა, —  
 ეს იყო ქარი,  
 ეს იყო მისი ბინდის ამაღა.  
 და დავინახე: ახალი ზვარი,  
 მახლობელ სახლზე დამტყდარი კასრი —  
 ეს იყო მთვარე,  
 მისი ნელი ფრთა და მშვიდი აზრი.  
 შარაზე, ჩუმი ხეობის თავში,  
 გვიან ტირილით მიღის ურემი.  
 კითხულობს ბავშვი:  
 — საით მიდიან ჩვენებურები?  
 — არც ნისლიან დღის, არც ამინდიან  
 ან უამინდო დღის მოკრძალება,  
 საით, მიდიან? —  
 კითხულობს ვერხვის აშრიალება.  
 მშვიდობით! ვიგრძენ, რომ აღარ არი  
 ბედნიერება გრძნობამდებელი;  
 დარეკეს ზარი,  
 მსოფლიო ომის მაუწყებელი.  
 ახლა? როდესაც მზე კვლავ ამოვა,

ის გააშუქებს სხვაგვარ თაობას,  
ცხედრების გროვა  
ცვლის მიუწდომელ სანახაობას.  
საცაა ასე გაზრდილი რიცხვი,  
ვით მეზღვაური ტალღათა შორის,  
დაჰკივლებს რისხვით  
და ეკვეთება ერთი მეორეს.  
შაგრამ მოვა დრო, იგრძნობს იარას  
და ახალ გრძნობას შეაშენდება.  
დაყრის იარაღს,  
რადგან ერთობის დროა, თენდება!  
— მოვა დრო, ჯარი დაყრის იარაღს!  
— იშლება გროვა.  
— ჯარის სხვაც ბევრმა გაიზიაროს...  
— ო, ეს დროც მოვა!  
— გეთაყვა, კითხვა ვერ ვისწავლე ჯერ,  
ვიცოდე ნეტა.  
მაშ, წამიკითხე, აბა, რასა მწერს  
მოხუცი დედა?  
მეორემ სწრაფად გახსნა ბარათი:  
„ძვირფასო შვილო,  
მომკლავს მე-შენი ხსოვნა მარადი,  
ღამე უძილო...  
უკაცო სახლზე გრიალებს კოხი,  
ცეცხლი ძლივ დვივის,  
ღამის სულ თავზე დაგვენგრას ქოხი,  
შაგრამ ვინ ჩივის:  
შენ დამიბრუნდი ჯანმრთელი გმირი!  
არაფერია...  
ეს ძღვენიც მცირე, რასაც გიგზავნი,  
შენი ჯერია...  
ო, შვილო, წერა არ მისწავლია.  
თუ არ დაღალდი...  
რომ დამეხმარო, შენი ვალია...“

ჩემი ქალაქი...“  
 ამ დროს ვილატა დაიწყებს ნელა,  
 აბარბაცებით,  
 და ამ სიმღერას აჰყვებიან  
 ჯარისკაცები.  
 „არ ბრწყინვალეა, არ ენთები,  
 გათენდი, თუ გათენდები,  
 ღამევე ბნელო!  
 შუამთაზე ნისლი არის,  
 ათი მთა რომ გადიაროს,  
 ტყე და მდელო.  
 ეს სიციფეც არეს ყინავს,  
 ცხრა ღამეა, რაც არ გვძინავს  
 მთიდან მთაზე,  
 თხრილში გვაგვებს თოვლის მტვერი.  
 არც მოძმე ჩანს, არც ჩანს მტერი,  
 და ვართ ასე!“  
 ღრმა სიბნელიდან მოხუცი ქალი  
 გამოდის ჩანთით;  
 მან ჯარისკაცებს მოაგლო თვალი.  
 „აჰ, თქვენ არ ჩანდით!“  
 და სანთლით ხელში ათვალეირებს  
 სანგრებს და ჯარებს  
 და ჯარისკაცებს, მაგრებს, ძლიერებს,  
 იპყრობს ღუმილი.  
 — საბრალო ქალი! შავებითაა  
 იგი მოსილი,  
 შორი კუთხიდან, მრავალ წამებით  
 არის მოსული.  
 თვალეში ბევრჯერ ჩახედა სიკვდილს...  
 როგორც მორიგი,  
 ვეებერთელა ფრონტზე თავის შვილს  
 დაეძებს იგი.  
 — მე დავინახე იგი სანგრებში,



— ის შვილს ეძებდა.  
 — ის ხშირად მოკლულ ჯარისკაცებში  
 თვალს აცეცებდა;  
 მას არ ჰქონია გზა მოთაფლული,  
 გზაა საზარი,  
 ჯარი მიწაში არის ჩაფლული  
 უზარმაზარი.  
 მაგრამ, ჩუ, აგერ, ისიც მოვიდა —  
 მოხუცი ქალი,  
 მან მხოლოდ ერთ ჯგუფს მრავალ გროვიდან  
 მიაპყრო თვალი.  
 — იქნებ იცნობდეთ, შვილო, გეთაყვათ,  
 ან გაგვიგონოთ,  
 მოკლეს, დამარხეს თუ სხვა ჯარს გაჰყვა  
 ის ჩემი შვილი?  
 დიდიხანია არ მიმიღია  
 მისგან წერილი.  
 დარდებით გული მაქვს დასერილი...  
 მოგვკვდი, ვეწამე!  
 ტანზე ფარაჯა ძველი აცვია,  
 რუხად ნაფერი,  
 ერთი საწყალი ჯარისკაცია,  
 სხვა არაფერი...  
 — არა, დედი, არ გაგვიგონია,  
 — არა, სწორებით!  
 — დამაცა, ვცნობდი სადღაც, მგონია...  
 — იქ... მოშორებით...  
 ვინ იყო? სიდან ან რა კაცია,  
 ვინ და რაფერი?  
 — ერთი საწყალი ჯარისკაცია,  
 სხვა არაფერი...  
 — არა, დედი, არ მოგვისმენია.  
 — დაღალული ხარ, ჩამოისვენე.  
 — სანამდე ვინმე შვილს არ მაჩვენებს,  
 მანამ ქვეყნად მე რა მომასვენებს?!  
 ო ცეცხლო, ცეცხლო!!

გემი „დალანდი“

გამომადგენელი ღამის აღმა ნელმა და ქურდმა,  
ბალი ყელამდე ზამბახებით იყო ნაბური,  
ირგვლივ ეყარა დანგრეულთა ჩრდილთა ჩუქურთმა,  
ბალს იქით მძიმედ ხმაურობდა ზღვა უდაბური.


მე მივდიოდი, მაღლა იდგა გემი „დალანდი“,  
როგორც ნარცისი თავის ლანდზე შეყვარებული,  
ჩემი დაფნისთვის მიტაცებდა ლურჯი მანდილი  
ქვეყნად მთვარეულ ზამბახებში შეფარებული.

გემით „დალანდი“ მოვდიოდი სამშობლოსაკენ  
და მთვარისაგან გავდიქება გულს დარდად ჰქონდა:  
მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით ვეღარ მოვაგენ  
და არ მახსოვდა: მქონდა იგი, თუ მომაგონდა?

გახსენებების მომძახოდა მტანჯველი ლანდი:  
„შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი!“  
შავი ზღვის ზვირთებს მიაპობდა გემი „დალანდი“  
და თვალზე მადგა განშორების მსუბუქი ცრემლი.

1918

K 80-219  
3



## ჩვენ, პოეტები საქართველოსი

გულში იმავე გრძნობით ბრუნდება  
და მოლოდინი დარეკავს ჩუმი,  
რომ არა ერთხელ აგუგუნდება  
დედამიწაზე კიდევ სამუმი.  
ჰა, ქიმიური ომების წყება  
სოფელში, მინდვრად, ქალაქში, ტყეში,  
ახალი ლპობა ჰოსპიტალების,  
ახალი ცრემლის ღვარი და თქეში.  
იქ, ტრანშეების ლაბირინტებში,  
ნუ გაგიტაცებს ძველი წუხილი,  
ხევიდან ხევზე იკვილებს მენი,  
ხევიდან ხევზე წავა ქუხილი,  
გიგანტიური მუხლუნო — ტანკა  
და შეუწყვეტი ტყვიის ფანტელი...  
პროექტორებმა ჰაერში იგრძნეს  
ჰაეროების კორიანტელი.  
წამოვა მღვრიე ცეცხლის ნიაღვრად  
ასსანტიმეტრის მკაცრი სახელი,  
ხევიდან ხევზე გადიგრიანებს  
ხევიდან ხევის გამოძახილი.  
გააფთრებული ომის გენია,  
ძველი ჟანგივით ყვითელი ფერის,  
გადეფარება მეწამულ ზეცას,  
რომ მოიტანოს დღე მწარე წერის.  
ვართ პოეტები საქართველოსი,  
რომელთაც გვახსოვს დღე უარესი,

ჩვენ ახლავ ვიცი, სად დადგებიან  
კლოდელი, ჟამი, სიჟარესი.  
დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია  
და სისხლიანი დგას ანგელოსი,  
ახალ გრიგალებს ვსწირავთ სიცოცხლეს  
ჩვენ, პოეტები საქართველოსი...

## ჩვენი მნათობი ცეცხლის ფერია

ცეცხლივით ჩვენი ტრიალებს ხანა,  
ჩვენი მნათობიც ცეცხლის ფერია,  
მან ბევრი რული და მშვიდი ნანა  
ქარიშხლის ხმებით მოიგერია.  
მებრძოლ დროშასთან ელავს კალამი  
ეს ათი წელი — ათი აგური —  
დამკვიდრდეს, როგორც ძმური სალამი,  
მხურვალე, მხნე და ამხანაგური!  
მრავალმა წელმა გაასწრო ჩარჩოს,  
დრო ისევ ცდილობს ძალთა მოკრებას;  
ინდუსტრიულურ აღს გაუმარჯოს  
და პროლეტარულ აბოზოქრებას!  
გაუმარჯოს ფიქრს, რომ, ალებრ მნათი,  
ხავსმოკიდებულს, ნელს და ბორიოს  
ააყირავენს ეს წელი ათი  
ათიათასი წლის ისტორიას!  
მჭიდრო კავშირი ერთმანეთს შორის  
დღეს საჭიროა, როგორც არასდროს,  
რევოლუციურ დღის დირიჟორის  
ამღელვარებამ რომ არ გაგასწროს!  
თუ მსოფლიოში კვლავ შორით-შორად  
ვიგანტიური იგრგვინებს ქნარი,  
ჩვენ იმ ვულკანთან ვიქნებით სწორად:  
გული, სიმღერა, შრომა — აქ არი!  
ხელოვნებათა არმიავ, ჩქარი  
ეპოქის გვერდით იარე, წადი!  
თუ დღეს რამ არის გაუგებარი,

ზვალ ნათელივით იქნება ცხადი.  
ხომ განვლილია ნაწილი გზისა,  
სხვა ამოცანა — აღმოსავლეთით.  
როგორ შორსა ვართ იმ ნაპირისგან,  
გემზე პირველი გზით რომ ავედით!  
ოკეანესი ჰქუხს შუაგული  
და ახალ ნაპირს იმედად ათოვს  
მზე, რკინასავით შემოდაგული...  
ჩვენი მხურვალე სალამი მნათობს!  
სალამი ხანას, რომ გასცდა ჩარჩოს  
დროშას, გაწევეს, ძალთა მოკრებას!  
ინტერნაციონალის ხმას გაუმარჯოს,  
ინტერნაციონალის აბობოქრებას!

## დაჰკა წერაქვი!

დაჰკა წერაქვი, დაჰკა წერაქვი,  
ჰეი, დაჰკარი!  
გადმოანგრიე მძიმე ლოდები  
ნიადაგარი,  
აგურს — აგური, ფიცარს — ფიცარი,  
მკლავი მაგარი,  
ვერას დააკლებს ახალ შენობას  
წვიმა და ქარი.  
დაჰკა წერაქვი, დაჰკა წერაქვი,  
ჰეი, დაჰკარი!  
მოდის ტრიალი ინდუსტრიულურ  
აღმშენებლობის.  
წინ წინ! მაღალი, მშრომელი ხალხის  
დროშა აქ არი,  
დაჰკა წერაქვი, დაჰკა წერაქვი,  
ჰეი, დაჰკარი!

## რევოლუციურ საქართველოს

რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს,  
 უდიდესს თავის ნებისყოფით, გმირულს, უადრესს,  
 თვალწინ გადაშლილ გარდატეხათ უდიადეს აზრს,  
 მრავალი ათას მტკიცე ძაფით დაკავშირებულს;  
 აღფრთოვანებას მასებისას, მილიარდიან  
 ძლიერ ტალღებად რომ მიღელავს ახალის ძალით,  
 უსასტიკესი დაჟინებით რომ ანგრევს კარებს  
 მილიონების უფართოეს ჰორიზონტებთან,  
 ნგრევას, ო, ნგრევას, დაუნდობელ ნგრევას ძველისას,  
 კარჩაკეტილი ცხოვრებიდან გავიდეთ შუგულს,  
 უღმობელ ტრიალს ისტორიის მედგარი ბორბლის,  
 რევოლუციურ საქართველოს,  
 ნახტომს უდიდესს, უზარმაზარს, განსაცვიფრებელს —  
 რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს,  
 ვაჟა ამ ახალ საქართველოს, ვაჟა შენებას!



## სიმღერა

- ვჭექოთ — სიმღერა თუჯის,  
ვჭექოთ — ფოლადის ჰანგი,  
ვჭექოთ — დროშები ქუჩის,  
ვჭექოთ — ბრძოლების ბანგი.  
ვჭექოთ — მრისხანე ბრძოლა,  
ვჭექოთ — მქუხარე ეხო,  
ვჭექოთ — ცეცხლისა ქროლა,  
ვჭექოთ — სიმღერა ვჭექოთ.  
ვჭექოთ — ახალი ალყა,  
ვჭექოთ — ოქტომბერთ რიცხვი,  
ვჭექოთ — ცხოვრება ტალღის,  
ვჭექოთ — ცეცხლის და რისხვის.  
ვჭექოთ — რაც წინათ კენესდა,  
ვჭექოთ — ვადვიძოდ, ვრეკოთ,  
ვჭექოთ — შევხედოთ მზეს და  
ვჭექოთ — ჰეი, ვჭექოთ, ვჭექოთ!

მხარი მხარს, მხარი მხარს!

მხარი მხარს, მხარი მხარს,  
კოლექტივო, მხარი მხარს!  
აბა, ჰე, აბა, ჰე,  
აბა, მივსცეთ მხარი მხარს!  
წავიდეთ, მოვედოთ  
თავისუფალ მთა და ბარს,  
მივიდეთ, მივუდგეთ  
გაერთიანებულ ჯარს.  
არიქა, არიქა,  
ჩავეჭიდოთ გუთნის ტარს,  
არიქა, ბობოლა  
ძველ ღობეებს უვლის გარს,  
აბა, ჰე, ქალაქო,  
ველით მანქანების ღვარს.  
მხარი მხარს, მხარი მხარს,  
კოლექტივო, მხარი მხარს,  
წავიდეთ, მივხედოთ  
ცეცხლმოღებულ მთა და ბარს,  
დროშებით მივუდგეთ  
გაერთიანებულ ჯარს.  
ვინ ნახავს რამე დარს,  
ახალ საქართველოს დარს?!  
მეხი მეხს, ქარი ქარს,  
ჩვენ კი მივცეთ მხარი მხარს!

ნუ მიატოვებ ლექსს  
უთვისტომოდ

არა თუ წლები გადემშვა ტყდომად —  
წამიც კი გატყდა და რეკავს ცხარედ;  
ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ,  
დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ.  
ბევრი შეეცა ტალახსა და ლექს,  
ბევრის ნაბიჯი არის ტაატი,  
დრო, დრო აღნიშნე, მოაწერე ლექსს  
ეს წელიწადი, დღე და საათი!  
არა თუ წლები გადიქცა ტყდომად —  
ყოველი ლექსის ყოველი პწკარი  
არის გაქრილი კლასობრივ ომად,  
არის ეპოქის დროშის ქვეშ მდგარი.  
ეპოქა არის ნამგლის, ქურების,  
ეპოქა, რამაც ძველი შეთოკა,  
ეპოქა ძველის განადგურების,  
ინდუსტრიალურ დროის ეპოქა.  
ამ გადატეხის ათეული წლის  
ჩვენთა მიღწევათ მოანგარიშე,  
წერტილი რაა, სტრიქონი — ისიც,  
ისიც არ უნდა დარჩეს გარეშე.  
ყველამ შეტევა და შეძახება  
ერთ მეექვსედის ხმალთან დაღესოს,  
როცა ეპოქა დაეჯახება  
კარებს მსოფლიო კაპიტალისას.  
არა თუ წლები გადემშვა ტყდომად —  
წამიც კი გატყდა და რეკავს ცხარედ,  
ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ,  
დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ...

## აკაკის ლანდი

მღუმარე მხარეს შორი მთებისას  
დაჰხარის ლამე და ანდამატი.  
იქ, როგორც ლანდი მწუხარებისა,  
გამოჩნდა მაღალ პოეტის ლანდი!

თეთრი ქალბრით მოსილი თმები  
ელავდა ელვის ელვა-ციმციმით,  
და მოხიბლული იყო მთიები  
დიდებულ სახის ღვთაებრივ ღიმით.

მძიმე და დაღლილ ფეხის ხმას გრძნობდა  
ნელი-ნელ მსვლელი ღრუბელი ჩუმი  
და მოძრაობდა ღამის მნათობთა  
აღელვებული ელიზიუმი.

გრძნობდა თანაბარ მოახლოებას  
განცვიფრებული და დიდი მთები,  
შეუცნობ-ხშირი შრიალით შეკრთა  
მშობლიური ტყის მწვანე ზვირთები.

მაშინ ბავშვივით მიჩუმდა შქერი,  
შეწყდა მდინარეთ ზვირთების მღერა,  
მხოლოდ გრიალმა გზა მრავალფერი  
ნაპერწყლის დროშით ააელფერა.

და საიდუმლო შუქით შემოსა  
მიწყნარებული გზა იშვიათი:

ჩუმაღ... დაღლილი სანთლებით მოღის  
მწუხარე ლანდი... მაღალი ლანდი.

ოჰ! ასეთია ღღეს განსაცდელი  
და არ დაგვტოვებს პოეტი ობლად,  
რომ არ აანთოს ისევ სანთელი  
დავიწყებული ხატის მახლობლად.

იქნება ჩვენთვის, იქნება ჩვენში,  
იქნება ჩვენთან მარად და მარად,  
ჩვენის სიზმრების სიღიაღეში  
ჩვენი ფიქრების ლურჯ ნიაგ-ქარად!

არ მოგვაკლებს მაღლს და შუქს უსიტყვოს  
შისი, პოეტის, მაღლით ანთება.  
კურთხეულ იყოს, კურთხეულ იყოს,  
კურთხეულ იყოს ეს მოღანდება!

## მთაწმინდის მთვარე

ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!  
მღუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი  
ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს...  
ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს!  
მთვარე თითქო ზამბახია შუქთა მკრთალი მძივით  
და მის შუქში გახვეული მსუბუქ სიზმარივით  
მოჩანს მტკვარი და მეტეხი თეთრად მოელვარე...  
ოჰ! არასდროს არ შობილა ასე ნაზი მთვარე!  
აქ ჩემს ახლო მოხუცის ლანდს სძინავს მეფურ ძილით,  
აქ მწუხარე სასაფლაოს ვარდით და გვირილით  
ეფინება ვარსკვლავების კრთომა მხიარული,  
უსათარ ყრმას აქ უყვარდა ობლად სიარული...  
და მეც მოგვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად,  
ოლონდ ვთქვა, თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა,  
თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები  
და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები,  
თუ სიკვდილის სიახლოვე როგორ ასხვაფერებს  
მომაკვდავი გედის ჰანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს,  
თუ როგორ ვგრძნობ, რომ სულისთვის, ამ ზღვამ რომ  
აღზარდა,  
სიკვდილის გზა არ-რა არის ვარდისფერ გზის გარდა,  
რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე,  
რომ არასდროს არ ყოფილა ასე ჩუმი ღამე,  
რომ აჩრდილნო, მე თქვენს ახლო სიკვდილს ვეგებები,  
რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები,  
რომ წაჰყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი...  
ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!

## ლურჯა ცხენები

როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი  
ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში!  
არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი,  
ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე.  
მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში,  
სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა!  
ცეცხლი არ კრთის თვალეზში, წევხარ ცივ სამარეში,  
წევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია.  
შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით  
უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან!  
სიზმარიან ჩვენებით, ჩემი ლურჯა ცხენებით  
ჩემთან მოესვენებით! ყველანი აქ არიან!  
იჩქარიან წამები, მე კი არ მენანება,  
ცრემლით არ ინამება სამუდამო ბალიში;  
გაქრა ვნება-წამება, როგორც ღამის ზმანება,  
ვით სულის ხმოვანება ლოცვის სიმხურვალეში.  
ვით ცეცხლის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,  
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები!  
ყვავილნი არ არიან, არც შვება-სიზმარია!  
ახლა კი სამარეა შენი განსასვენები!  
რომელი ცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის შენს სახელს?  
ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს?  
ვერავენ განუგეშებს საოცრების უბეში,  
სძინავეთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს!  
მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა,  
მშრალ რიცხვების ამარა უდაბნოში დელდება!

შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით  
უსულდგმულო დღეები ჩნდება და ქვესკნელდება.  
მხოლოდ ნისლის თარეში, სამუდამო მხარეში,  
ზევით თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენები,  
როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,  
ჩქარი გრგვინვა-გრივლით ქრიან ლურჯა ცხენები!

1915



## მე და ღამე

ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუალაშე იწვის, დნება,  
სიო, სარკმლით მონაქროლი, ველთა ზღაპარს მეუბნება.

მთვარით ნათენს არემარე ვერ იცილებს ვერცხლის  
საბანს,  
სიო არხვეს და ატოკებს ჩემ სარკმლის წინ იასამანს.

ცა მტრედისფერ, ლურჯ სვეტებით ისე არის დასერილი,  
ისე არის სავსე გრძნებით, ვით რითმებით ეს წერილი.

საიდუმლო შუქით არე ისე არის შესუდრული,  
ისე სავსე უხვ გრძნობებით, ვით ამ ღამეს ჩემი გული.

დიდი ხნიდან საიდუმლოს მეც ღრმად გულში დავატარებ,  
არ ვუმჯლავნებ ქვეყნად არვის, ნიავსაც კი არ ვაკარებ.

რა იციან მეგობრებმა, თუ რა ნაღველს იტევს გული,  
ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოდ შენახული.

ვერ მომპარავს ბნელ გულის ფიქრს წუთი წუთზე უამესი,  
საიდუმლოს ვერ მომტაცებს ქალის ხვევნა და ალერსი.

ვერც ძილის დროს ნელი ოხვრა და ვერც თასი ღვინით  
სავსე  
ვერ წამართმევს მას, რაც გულის ბნელ სიღრმეში  
მოვათავსე.



მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ,  
 იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ღამემ.

იცის — როგორ დავრჩი ობლად, როგორ ვეწე და  
 ვეწამე...  
 ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე: მე და ღამე, მე და ღამე!

1916

## მისაფლავე

მისაფლავე, შენ ამბობ, რომ  
 ქვეყანაზე ვინც კი კვდება,  
 იმ წუთშივე მისი ჩრდილი  
 ყველა ჩვენგანს ავიწყდება?  
 ეჰ, არ მჯერა მე ეგ რაღაც...  
 მომაბეზრე კიდევ თავი  
 და შეწყვიტე, თუ ღმერთი გრწამს,  
 ეგ დაცინვა გულსაკლავი!  
 ვარდის თვეა, მაისია,  
 ნორჩ ბალახებს სიო არხევს,  
 ხეებს ყვავილთ თეთრი გუნდი  
 როგორც თოვლი, ისე აწევს,  
 მზე ნარნარი სხივებს აფრქვევს  
 და სითბოში მთა-ბარს ახვევს,  
 ყვავილებით მოქარგულა  
 არემარე მომხიბლავი.  
 ვერა ხედავ, იმ საფლავზე  
 როგორ სტირის ობლად ქვრივი?  
 რარიგ შვენის ახალგაზრდა ქალს  
 ეგ სევდა ღვთაებრივი!  
 განა გუშინ არ იყო, რომ  
 ამ მოკლულმა დარდით ქალმა  
 ცრემლი ღვარა, როცა სატრფო  
 ცივ სამარეს მიესალმა?  
 დღესაც იგი იმ სამარეს  
 გულმოკლული დაქვითინებს,  
 დღით არ იცის მოსვენება

და ღამითაც არ იძინებს.  
 მოვა ხოლმე და დაჯდება  
 ცივ სამარის გაშლილ ქვაზე,  
 დარდით არის გაქედნთილი  
 მისი უღვთო სილამაზე;  
 თმას გაიშლის, დაემხოზა  
 და ცრემლები სცვივა, სცვივა...  
 სულს მიშფოთებს ეგ ქვითინი,  
 გული მტკივა, გული მტკივა!  
 მაგრამ რა ვქნა? მესაფლავევ,  
 ჩუმიად იყავ, უგდე ყური...  
 გესმის? გესმის, როგორ კენესის  
 დაღლილი და უბედური?  
 — „გაექრე ისე, როგორც ნისლი,  
 როგორც ღამის მოჩვენება,  
 არ შეღირსოს კვალარეულს  
 სიმშვიდე და მოსვენება,  
 შენი სახე გულს კაწრავდეს,  
 როგორც ვიყო, სადაც ვიყო,  
 თუ როდისმე არ მახსოვდე...  
 თუ როდისმე დაგივიწყო!“  
 მესაფლავევ! კიდევ იტყვი,  
 რომ ამ ქვეყნად ვინც კი კვდება,  
 იმ წუთშივე მისი ჩრდილი  
 ყველა ჩვენგანს ავიწყდება?  
 აი, თუნდაც, გალავნისას  
 მესაფლავე აღებს კარებს,  
 ახალგაზრდა ვინმე ვაჟი  
 კიდევ სატრფოს ასამარებს.  
 გულმოკლული ძვირფას კუბოს  
 არ სცილდება, არ შორდება,  
 განა რასმე სხვა ამგვარი  
 სრყვარული მეორდება?  
 უსაზღვროა მისი სევდა,

უსაზღვროა მწუხარება  
და გადმოსჩქეტს გულმოკლულ ვაჟს.  
თვალთგან ცრემლით მდუღარება.  
ფიცით ამბობს: „ოჰ, შეშფოთდეს  
სამარეში ჩემი ძვლები,  
არ ათბობდეს ჩემს სამარეს  
გაზაფხულის მზის სხივები,  
გავქრე ისე, როგორც ნისლი,  
როგორც ღამის მოჩვენება,  
არ შეღირსოს კვალარეულს  
სიმშვიდე და მოსვენება,  
შენი სახე გულს კაწრავდეს,  
სადაც ვიყო, როგორც ვიყო,  
თუ როდისმე არ მახსოვდე,  
თუ როდისმე დაგივიწყო!“

• მესაფლავევ, კიდევ იტყვი,  
რომ ამ ქვეყნად ვინც კი კვდება,  
იმ წუთშივე მისი ჩრდილი  
ყველა ჩვენგანს ავიწყდება?  
ის ქალი კი, წედან რომ ვთქვი,  
ისევ მოდის თმაგაშლილი  
და სამარეს დაუვიწყარს  
თავს აღგება, ვით აჩრდილი.  
ხელში ვარდის მთელი ბუჩქი,  
ჯერ ისევე დაუმკნარი,  
მოაქვს, რომ მით დაამშვენოს  
სამარისა თეთრი ჯვარი.  
ოჰ, ეს ქალი, ალბათ, დარდით  
ყვავილივით ჭკნება, ჭკნება...  
სევდას სახე დაუფარავს  
და სიყვითლე ეპარება.  
საცოდავი! თვალეზსაც კი  
დასჩნევია უძილობა,  
ასე ხდება, როცა ღამით

მოგონებებს იწვევს გრძობა!  
ეხლა? ეხლა კიდევ იტყვი,  
რომ ამ ქვეყნად ვინც კი კვდება,  
იმ წუთშივე მისი ჩრდილი  
ყველა ჩვენგანს ავიწყდება?  
და ის ვაჟიც, გუშინწინ რომ  
შიაბარა სატრფო სათლავს,  
არ სცილდება სასაფლაოს  
სევდიანს და გულმოსაკლავს,  
სახე თაფლის სანთელს უგავს,  
სანთელივით დნება, დნება,  
თავს დასცქერის დაუვიწყარს,  
გლოვის სიტყვას ეუბნება.  
მის თვალებსაც დასჩნევია  
ღამის თევა, უძილობა —  
ასე ხდება, როცა ღამით  
მოგონებებს იწვევს გრძობა.  
მესაფლავე, ეხლაც იტყვი,  
რომ ამ ქვეყნად ვინც კი კვდება,  
იმ წუთშივე მისი ჩრდილი  
ყველა ჩვენგანს ავიწყდება?  
დღეს იმ ქალმა გულმოკლულ ვაჟს  
უნებურად მოჰკრა თვალი,  
გაიფიქრა: „ისიც ჩემებრ  
ტირის ცრემლებშეუმშრალი;  
უძიროა კაცის სევდა,  
უძიროა კაცის გული,  
რას არ ითმენს სიყვარულის  
ცხოველ ნათელს მოკლებული!“  
ასე ამბობს სევდიანი  
ქალის ცისფერ თვალთა ცქერა...  
აღბათ, ვაჟსაც ამ უსიტყვო  
ცქერამ გული აუძგერა...  
ასე იცის თანაგრძობამ...

შენ კი ისე იღიმები,  
თითქო მართლა იბმებოდეს  
იმათ შორის ის სიმები,  
რომლის ძალით ორი გული  
სამუდამოდ შეერთდება...  
ეჰ, არ მჯერა მე ეგ რაღაც,  
ქვეყნად ეგრე როდი ხდება...  
როცა ფიცით აცილებენ  
მიცვალებულს სამარემდე,  
ფიცს არ ტეხენ... ფიცს არ ტეხენ  
უკანასკნელ ყოფნის დღემდე.  
გამიგონე, მესაფლავე,  
შენ არ იცი კაცის დარდი,  
თორემ რაა, ჩემს თქმაზე რომ  
სულელივით ახარხარდი?!  
რა ვუყოთ, რომ იმ ვაჟმა ქალს  
მოუტანა ნორჩი ვარდი  
და მწუხარედ წასჩურჩულა:  
„შემიყვარდი, შემიყვარდი!  
ჩვენ ერთი გვაქვს მწუხარება,  
შევაერთოთ სულთან სული...  
გამომყევი, ქალო, ცოლად...  
ძლიერი მაქვს სიყვარული...  
მართალია, ის სატრფონი არც შენ,  
არც მე აღარა გვყავს,  
მაგრამ მათი მოგონება  
ვერ გაარღვევს უხმო საფლავს.  
დავიფიწყოთ ის წარსული,  
სატირალი, სავალალო,  
და ახალი შევქმნათ ყოფნა...  
გამომყევი ცოლად, ქალო!“  
დაუცადე, მესაფლავე,  
თუ რა პასუხს მისცემს ქალი,  
შენ გგონია — რა კი ვაჟმა

დაივიწყა თავის ვალი,  
 ქალიც ასე მოიქცევა?  
 მე მგონია, არა... არა...  
 განა გუშინ არ იყო, რომ  
 სატრფო მიწას მიაბარა?  
 მკვდრის აჩრდილთან ვინ იცინის,  
 მკვდრის აჩრდილთან ვინ იხუმრებს?!  
 აი ნახავ — აბეზარ ვაჟს  
 რა პასუხით გაისტუმრებს!  
 მაგრამ ქალი, ღმერთო ჩემო,  
 მორცხვად თავს ხრის და ჩურჩულებს:  
 „თანახმა ვარ! ერთადერთი  
 მომავალი მასულდგმულებს...  
 ჩვენ ერთი გვაქვს მწუხარება,  
 ნუ ვიგონებთ დროს უბედურს,  
 მე შენი ვარ სამუდამოდ...  
 წამიყვანე, სადაცა გსურს“...  
 მესაფლავევ, ეხლა კი გაქვს  
 ნება, რაც გსურს, კვლავ იგი თქვა...  
 სამუდამოდ ასამარებს  
 კაცთა ხსოვნას სამარის ქვა!  
 ალბად, ქალ-ვაჟს დღეს ერთი აქვს  
 ბინა... ხედავ, გადის ხანი,  
 არ ნახულობს სასაფლაოს  
 დღეს არც ერთი იმათგანი,  
 საფლავთაგან მტვერს და ბალახს  
 დღეს არავინ არ აცილებს  
 და მოვლასთან ერთად ფერი  
 წართმევიათ ვარდ-ყვავილებს...  
 განისვენეთ, განისვენეთ,  
 დავიწყებულ არსთა ძვლებო...  
 თქვენს ყოფნაში არ ერევა  
 ცოცხალთ ფიქრი საარსებო...  
 განისვენეთ, ძლიერი და



უკვდავია თქვენი ძილი...  
რალად უნდათ, რალ სჭირიათ  
თქვენს საფლავებს ვარდ-ყვავილი?  
ან რას გარგებთ მოკვდავ კაცთა  
სამუდამო ცრემლთა ფრქვევა?  
ძილით ველარ გამოარკვევთ  
ვერრა ძალა, ვერც შემთხვევა...  
ასე ხდება ქვეყანაზე,  
ყველა ცოცხლობს, ყველა კვდება,  
და ვაი მას, ვის სიკვდილი  
სიცოცხლეშივე ავიწყდება...  
ზარსა სცემენ... იმ ორს,  
რომელთ დაივიწყეს ბედი მწვავე,  
იმ ორს ერთად გადავერცხლილ  
კუბოში სჭედს მესაფლავე...  
სჭედს და რალაც მწარე ფიქრზე  
თან ველურად ილიმება...  
იცის, იცის მესაფლავემ,  
როგორც უნდა... როგორც ხდება...  
განისვენეთ, განისვენეთ,  
დავიწყებულ არსთა ძვლებო,  
თქვენ ყოფნაში მე ბევრი მაქვს  
მწუხარე ჟამს საოცნებო!

მ მ რ ი

შენ ჯვარს იწერდი იმ ლამეს, მერი!  
მერი, იმ ლამეს მაგ თვალთა კვდომა,  
სანდომიან ცის ელვა და ფერი  
მწუნარე იყო, ვით შემოდგომა!

აფეთქებული და მოცახცახე  
იწოდა ნათელ ალთა კრებული,  
მაგრამ სანთლებზე უფრო ეგ სახე  
იყო იღუმალ-გაფითრებული:

იწოდა ტაძრის გუმბათი, კალთა,  
ვარდთა დიოდა ნელი სურნელი,  
მაგრამ ლოდინით დაღალულ ქალთა  
სხვა არის ლოცვა განუკურნელი.

მესმოდა შენი უგონო ფიცი,  
მერი ძვირფასო! დღესაც არ მჯერა...  
ვიცი წამება, მაგრამ არ ვიცი:  
ეს გლოვა იყო, თუ ჯვარისწერა?

ლოდებთან ვიღაც მწარედ გოდებდა  
და ბეჭდების თვლებს ქარში კარგავდა,  
იყო ობლობა და შეცოდება,  
დღესასწაულს კი ის დღე არ ჰგავდა.

ტაძრიდან გასულს ნაბიჯი ჩქარი  
სად მატარებდა? ხედვა მიმძიმდა!

ქუჩაში მძაფრი დაქროდა ქარი  
და განუწყვეტლად წვიმდა და წვიმდა..

ნაბადი ტანზე შემოვიხვიე,  
თავი მივანდე ფიქრს შეუწყვეტელს;  
ოჰ! შენი სახლი! მე სახლთან იქვე  
ღონემიხდილი მივაწექ კედელს.

ასე მწუხარე ვიდექი დიდხანს  
და ჩემს წინ შავი, სწორი ვერხვები  
აშრიალებდნენ ფოთლებს ბნელხშიანს,  
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები..

და შრიალებდა ტოტი ვერხვისა,  
რაზე — ვინ იცის! ვინ იცის, მერი!  
ბედი, რომელიც მე არ მეღირსა,  
ქარს მიჰყვებოდა, როგორც ნამქერი.

თქვი: უეცარი გასხივოსნება  
რად ჩაქრა ასე? ვის ვევედრები?  
რად აშრიალდა ჩემი ოცნება,  
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები?

ან ცას ღიმნლით რად გავცქეროდი,  
ან რად ვიჭერდი შუქს მოკამკამეს?  
ან „მესაფლავეს“ რისთვის ვმღეროდი,  
ან ვინ ისმენდა ჩემს „მე და ღამეს?“

ქარი და წვიმის წვეთები ხშირი  
წყდებოდნენ, როგორც მწყდებოდა გული,  
და მე ავტირდი, ვით მეფე ლირი,  
ლირი ყველასგან დატოვებული.

## ატმის ყვავილები

რტოებში ავობს ბებერი ქარი,  
ყვავილთა ჯარი ფიფქით ბანაობს,  
ტყდება, ნანაობს ეთერი ჩქარი,  
ნანაობს ქარი და მიქანაობს.

და ქარი შეხვდა ატმის ყვავილებს,  
ვარდისფერ ღილებს შეატყო ჟრჟოლა,  
ფრთა დაატოლა გაუშლელ ღილებს,  
დასწვდა ბილილებს და აათრთოლა.

ატმის ხე იდგა თაიგულივით,  
იქ მას მიღევით უთრთოდა სული,  
შორით მოსული გაზაფხულ სხივით  
და ნამთა მძივით გარემოცული.

ატმის ხე იდგა ვით ნაზი ქალი,  
ვით დედოფალი უცხო მხარეში,  
სინარნარეში წვაავდა მზის ძილი  
და გრძნობათ ალი სიმწუხარეში.

ატმის ხე შლილი ოცნებას ჰგავდა,  
როცა ღელავდა მზით აღტურვილი,  
მე მისი ჩრდილი ხშირად მხიბლავდა  
და ხშირად მწვაავდა ტრფობის სურვილი.

მაგრამ ეწვია ატმის ხეს ქარი  
და ფრთა მედგარი შემოახვია,

ახლაც ატყვია ხეს განაბზარი,  
ყვაფილთა ღვარი რომ დააფრქვია.

როგორც პეპლები მშვიდი და ფრთხილი,  
შემდეგ აშლილი და აფრენილი,  
გადაცვნილი ატმის ყვაფილი  
იყო დაღლილი და მოწყენილი.

ოცნებათ რიგი თვალს მიეფარა!  
მტვრით გაისვარა წყალთა ლიკლიკი,  
ყვაფილი იგი მოკვდა და ჩქარა  
წითლად დაფარა ბალის ბილიკი.

ბალის ბილიკზე მივდივარ და თან  
გაძრცვნილ ატამთან ზღვები გროვდება,  
სალამოვდება და მზის ჩასვლასთან  
თანდათან მწუხრი მიახლოვდება.

მე აღარ ვდარდობ... რა მსურს, რას ველი?  
ვით მზის ნათელი და ღამის ჩრდილი  
მეფობს სიკვდილი — ჭკნობის მსურველი!  
გაქრა სურნელი, დაჭკნა ყვაფილი!

თ ო ვ ლ ი

მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის-  
ქალწულებივით ხიდიდან ცვენა,  
მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის  
და სიყვარულის ასე მოთმენა.  
ძვირფასო! სული მევესება თოვლით:  
დღეები რბიან და მე ვბერდები!  
ჩემს სამშობლოში მე მოველე მხოლოდ  
უდაბნო, ლურჯად ნახვერდები.  
ოჰ! ასეთია ჩემი ცხოვრება:  
იანვარს მოძმედ არ ვეძნელები,  
მაგრამ მე მუდამ მემახსოვრება  
შენი თოვლივით მკრთალი ხელები.  
ძვირფასო! ვხედავ... ვხედავ შენს ხელებს,  
უღონოდ დახრილს თოვლთა დაფნაში,  
იელვებს, ქრება და კვლავ იელვებს  
შენი მანდილი ამ უდაბნოში...  
ამიტომ მიყვარს იისფერ თოვლის  
ჩვენი მდინარის ხიდიდან ცვენა,  
მწუხარე გრძნობა ქროლის, მიმოვლის  
და ზამბახების წყებად დაწვენა.  
თოვს! ასეთი დღის ხარებამ ლურჯი  
და დაღალული სიზმრით დამთოვა.  
როგორმე ზამთარს თუ გადავუტრჩი,  
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!  
არის გზა, არის ნელი თამაში  
და შენ მიდიხარ მარტო, სულ მარტო!  
მე თოვლი მიყვარს, როგორც შენს ხმაში

ერთ დროს ფარული დარდი მიყვარდა!  
მიყვარდა მაშინ, მათრობდა მაშინ  
მშვიდი დღეების თეთრი ბროლები,  
მინდვრის ფოთლები უენს დაშლილ თმაში  
და თმების ქარით გამოქროლება.  
მომწყურდი ეხლა, ისე მომწყურდი,  
ვით უბინაოს — ყოფნა ბინაში...  
თეთრი ტყეების მიმყვება გუნდი  
და კვლავ მარტო ვარ მე ჩემს წინაშე.  
თოვს! ამნაირ დღის ხარებამ ლურჯი  
და დაღალული ფიფქით დამთოვა...  
როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი,  
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!

## მთვარის ნააზრობიდან

ვიცი, ცაო გულმაეიწყო,  
მე ზრუნვა ვარ, შენ ოცნება,  
არ იქნება, არ დავიწყო  
ოცნებათა შემოწმება.

„ბევრი მხარე მოვიარე, —  
ასე იწყებს ამბავს მთვარე, —  
მაგრამ საქართველოსთანა  
არ მინახავს არსად მხარე.

ბრწყინავს მისი ძველისძველი  
უძლეველი მთა და ველი,  
მისი წყალი, მისი სივრცე,  
მისი შოთა რუსთაველი.

დიდი ხნიდან მალარიით  
მოშხამული ატმოსფერა  
ახალ ჩაით, ახალ იით  
ახლად გააოქროსფერა.

(რუსთაველი მახსოვს ბავში,  
ოცნებობდა ოქროს ნავში,  
მიცქეროდა და თან თრთოდა,  
ვით ფოთოლი თრთის ნიავში).



ვიცი, ცაო, ფანტომიდან  
ზრუნვა ვარ და შენ — ოცნება,  
მრავალ ახალ კარგს მომიტანს  
ოცნებათა შემოწმება.

აგერ მძლავრი და ტიტანი,  
მოჩანს კავკასიის ტანი,  
მიჯაჭული აქ იყო და  
აქ აეშვა ამირანი!

\*  
\* \*

ფერი მზესა და ქარს მოჰყავს  
გაზაფხულის სადარი,  
შენ კი ლოყას  
გადაგკროდა ზამთარი.

მიდიოდი, როგორც მკვდარი,  
როგორც მკვდარი სანანი,  
ქროდა ქარი,  
თრთოდა იასამანი.

ხალხის ზევეთა და გლეჭჩერთა  
გარს ბრუნავდა მდინარე;  
არ შეჩერდა,  
არ იკითხა: „ვინ არი?“

ეხლა სხვაა. კაცის თვალი  
ქალს სიხარულს ადარებს,  
სადაც ქალი  
ქალის სახეს ატარებს.

სალამი ამ მწიფობისთვის,  
მზე რომ სჯერა მცინარი,  
ყველა გისმენს  
და კითხულობს: „ვინ არი?“

\* \* \*

საბჭოთა ხალხის გმირული  
ეპოქა სჭედავს ხელოვანს  
იგი გმობს, გულმოპირული,  
სიცოცხლეს არსახელოვანს.

კარგია ლექსი მშინ, როს  
ნათელია და ხალხური,  
არ მოაკლდება არასდროს  
მასის მღელვარე თვალყური.

სიმართლე, წრფელი იდეა —  
აი, რა არის პირველი,  
გრძნობა კი დიდი ხიდეა,  
აზრთან ბჭით გადამკირველი.

მაშ, შენი ზვირთი რას იცდის,  
სიმღერავ, გულში ფარულო,  
აჭუხდი, მოგვეც არტისტის  
განცდები სასიხარულო!

## ჩემი სიმღერა

ზოგს ჩაის ვარდი, ზოგს — კინოვარი,  
ზოგს ოქრომკედით მონაქსოვარი,  
სურათი, რამე კარგზე მგლოვარი —  
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

ბარათი სისხლის ცრემლნატბოვარი,  
ბეჭედი, ძვირფას ალთა მთოვარი,  
საყურე, ტკბილის ჩრდილის მთხოვარი —  
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

თმა, როგორც განძი ძნელსაშოვარი,  
წიგნი რამ, ომით მონაბოვარი,  
საფერფლე, მამის დანატოვარი —  
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

შენი, სამშობლოვ, მსასოვარი  
ჰა, ჩემი ჩანგი სწორუბოვარი,  
ჰა, ჩემი გულიც, რადგან მგზნოვარი  
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

ჩანგო!

ჩანგო! ბევრი კარგი დრო ქვეყნად გვიტარებია,  
უსულგულო ცხოვრება ჩალას გვიდარებია!

საქართველო — პარიზი სხვადასხვა ქნარებია,  
ჩანგო! დამიმტკიცე, რომ სიმართლე გყვარებია.

ჩანგო! ჩვენ ხომ ხალხისათვის ბრძოლა  
არ გვზარებია,

მიღრუბლულხარ, ეშხითაც  
გამოგიდარებია!

ასი, ასი და კიდევ ას სიმღერის ხმებია,  
რაც კი თვალს დაუნახავს

და გულს გაჰკარებია!

ჩანგო! ბევრი კარგი დრო ერთად გვიტარებია!

ქაუბარი ლირიკის შესახებ

ვიგონებ ყრმობას, შორს, ძლიერ შორს,  
 ქალების გაღმა  
 კავკასიონის კლდოვანი შთის  
 მოჩანდა ფერდი.  
 სალამობით — ვით ხომალდი  
 ასწიოს ნალშმა —  
 მზით ენთებოდა და ქრებოდა  
 ტიტანის მკერდი.  
 ბავშვობიდანვე ის სიშორე  
 მტანჯავდა ერთი,  
 ლაქვარდოვანნი მიტაცებდნენ  
 ნაქერალები  
 და ვკითხულობდი, ვოცნებობდი,  
 ვმღერდი თუ ვწერდი —  
 მღევდნენ, მეძახდნენ, მიზიდავდნენ  
 ის მწვერვალები.  
 რით შეაყენა ის ხომალდი  
 გრძნეულმა დაღმა  
 შენ არ იცოდი, ვერც გაიგე,  
 ისე დაბერდი.  
 შემოიხვია მყუდროება  
 ღრუბლების ბაღმა,  
 მოჩანდა ხეამლი — როგორც თრთოლა,  
 როგორც ხავერდი,  
 როგორც უთოვლო ყმაწვილობის  
 უღრუბლო ბედი,

როგორც შემდეგთა ქარიშხალთა  
ცივი ბრჭყალები,  
როგორც სიცოცხლე, როგორც კუბო,  
როგორც იმედი —  
მღევდნენ, მეძახდნენ, მიზიდავდნენ  
ის მწვერვალები.  
მთლად დამიმონა ცად ნატყორცნმა.  
ლურჯმა წიაღმა,  
ჰაერონებამ, საიდუმლომ  
დაფარა ქედი.  
თითქო იმ მთაზე ისევ ისე  
ვწევარ გულალმა  
და ვარსკვლავების დიდი წიგნის:  
ყოველი გვერდი  
არის თეთნულდი, არის უშბა,  
მთელი სვანეთი,  
იმისი დილა და შუადღე,  
მზით ნაალები,  
მისი სალამო ბინდთა ლურჯი  
ოკეანეთი —  
მღევდნენ, მეძახდნენ, მიზიდავდნენ  
ის მწვერვალები.  
მოგონებანი იმ მთებზე  
შემოირიგა  
მწვერვალმა, რომლის სახელია.  
ქნარი, ლირიკა.  
არა ოცნებით, არ ზღაპარით  
მის ცისამართ —  
წყარო ყრმობისა მარადისთა.  
ნაკადთ კამართ  
მიედინება. მაგრამ საით?  
სამისაწხარო  
ქვეყნისკენ, სადაც პოეზიის  
ბრწყინავს სამყარო,

სადაც არსებობს პოეზიის  
 მარად მგზნებელი,  
 ღირიკის სული, სული მისი  
 მაცოცხლებელი!  
 პირველ ნაკადად მსურს გადიქცეს  
 ჩემი მიმართვა,  
 მიმართ ქარგმაგთა, მიმართი ქაბუკთ  
 სახემღიმართა.  
 მარად მოვითხოვ ვით მეაბჯრეს,  
 როგორც მეფარეს,  
 მხოლოდ ცოცხალს და მიმგებარეს.  
 მხოლოდ მგზნებარეს.  
 შარად დიადი უნდა ჰქონდეს  
 სიტყვას მიზანი,  
 მარადის სიბრძნის აშუქებდნენ  
 სხივნი მზისანი.  
 მიზანი ჩემი აქ გამოსვლის  
 მხოლოდ ის არის,  
 რომ სიმართლისთვის მოგრიალე  
 ჩანგის ფიცარის  
 გამოძახილი ახალგაზრდა  
 გულში გაღვივდეს,  
 რომ პოეზია მის სასურველ  
 მწვერვალს აღვიდეს.  
 მოზარდი — იგივე მოცარტია!  
 მუდამ მოსაგდა  
 თანაბრად ზევეი ქარიშხალთა  
 და მიმოზათა!  
 რომ პოეზიაც იყოს საგნად  
 ახალ თაობის  
 აღფრთოვანების, დაფიქრების  
 და მოძრაობის,  
 რომ სვას ანკარა პოეზიის  
 მზე დაწურვილი —



აი მიზანი! აი ერთად —  
ერთი სურვილი!  
დასაბამიდან მოლივლივივს  
ლირიკის შუქი,  
იგი არ არის უბრალო რამ,  
რამე მსუბუქი.  
ზენი ნიქს გარდა — გემოვნება,  
მისას ეწნება  
თავისებური გამოსახვა  
და შემეცნება.  
მისი ტექნიკა, მრავალფერი  
ხალის მქსოვარი,  
მიღწეულ იქნას ურყეველი,  
შეუპოვარი,  
გულდადებული მუშაობით  
შემდეგ სიტყვაზე.  
ლირიკა ასე იქედება  
და მხოლოდ ასე!  
მართალი არის, რომ პოეტი  
ამბობს თაობის:  
„გრამი შოენისა ნაყოფია  
წელთ მუშაობის,  
მოღებულ იქნას და ერთ სიტყვად  
უნდა გადადნეს  
ათასეული ტონა მთელი  
სიტყვიერ მადნის“.  
ზეშთაგონება — აწვევა  
შემოქმედ ძალის,  
შედგეი ხანგრძლივ ალტყინების,  
შრომის სიალის.  
მონგრევა გულში ნაგუბარის,  
გახსნა, კრიზისი,  
დიდი ხნით გულში შენახულის  
რამე მიზეზი —

იღებები და სახეები  
თითქმის მზადქმნილი  
ერთბაშად მხატვრულ სიძლიერით  
გადმოხეთქილი.  
ფიქრი, ოცნება, გრძნობა, სმენა  
და გაგონება —  
აი ლირიკა, აი მგოსნის  
ზეშთაგონება!  
ზეშთაგონებას მოიშველებს —  
მათი სიმიო —  
პოეზიაა, ისტორია,  
ანუ ქიმიო.  
ზეშთაგონება ასულდგმულებს  
და აძლევს იმედს  
თანაბრად როგორც რუსთაველსა,  
ისე არქიმედს.  
შეცნეიერება, როდესაც მას  
თან ახლავს ვნება,  
თანაბრად არის პოეზიის  
ზეშთაგონება!  
სრულუნაკლობას და სრულყოფას  
მოითხოვს მგოსნის  
შეგნება შრომის უმაღლესის  
და პატიოსნის.  
პოეტს, რომელსაც სურს იპოვოს  
გამოძახილი,  
უნდა შეეძლოს სიტყვას მისცეს  
გრძნობის მახვილი,  
უნდა იცოდეს აზრისა და  
ხმის შეხამება,  
ერთგვარ წესრიგში მოიყვანოს  
დღე, შეღამება,  
რათა სიტყვათა მათ ცოცხალთა  
თანაბგერება

თან სდევდეს და შიგ გაისმოდეს  
 ის ძლიერება,  
 რაიც აცოცხლებს და აღელვებს  
 მკითხველს და მსმენელს:  
 ის მიუთითებს, მოქმედების  
 არეს უჩვენებს,  
 ის წამყვანია, მებრძოლია,  
 ანდა პირიქით,  
 ის ანუგეშებს და ამშვიდებს  
 იმავე ღირიქით.  
 აზრთ შინაგანი მოძრაობა,  
 ბუნება გრძნობათ  
 უნდა გაიხსნას გარეგანად  
 იმ მოძრაობად,  
 რასაც იძლევა სიტყვათ რიტმი-  
 და ჰარმონია;  
 ხელმარჯვეობა უმრავლესთა  
 ყვავილთ მკონია.  
 მრავალნაირი მოძრაობით  
 შექმნილი ძეგლი,  
 მრავალფერობა ხმათა როგორც  
 ამბობს ჰეგელი,  
 ისე შექსპირი და ვირგილი,  
 ისე ვოლფანგი  
 და უფრო გზნებით — რუსთაველის-  
 უკვდავი ჩანგი.  
 მძლე ჰარმონიის კანონების  
 დაცვის გარეშე  
 ჩნდეს პოეზია სიბნელეში  
 და სიმცდარეში;  
 დამარცხებულია, ვისაც ენის  
 გზა შეუცვლია,  
 მაგრამ გონებას არასოდეს  
 არ შეუძლია

დაკმაყოფილდეს ჰარმონიის  
 მხოლოდ თამაშით, —  
 კვლავ პოეზია იდგეს ბნელში,  
 ცივ აკლდამაში.  
 მთავარი ძარღვი პოეზიის  
 ზომაა, რითმა;  
 მისით მარადის გაიელვოს  
 შუქმა ბედითმა,  
 მაინც იმაზე უმთავრესი  
 სხვა დედაარსი  
 არის მშვენიერ პოეზიის  
 იდეა, აზრი.  
 მათში იხსნება მგოსნის ძალა  
 და მოქმედება,  
 ისეთი, ყველას სიხარულად  
 რომ მოედება  
 და მოფარავს გზებს ვარდით, დაფნით  
 და ალოეთი.  
 იდეა, აზრი, ზომა, რითმა, —  
 აი პოეტი!  
 ის იდეური უნდა იყოს  
 მაღლით ფენილი,  
 მისით სულდგმული, შთაგონებით  
 აღმოჩენილი,  
 ტემპერამენტის სიდიადით  
 არეს ავსებდეს,  
 აღგვამაღლებდეს, გვიტაცებდეს,  
 მოგვათავსებდეს —  
 სხვა გზით იქნება ეს ისეთი  
 „შედევრი წმინდა“,  
 რომელიც პოეტს ირონიულ  
 ღიმილსა ჰგვრიდა:  
 „ლექსებში ხშირად ყველაფერი  
 თავის რიგზეა,

სახე და ფორმა, რიტმიც თითქო  
საკმარისია,  
მხოლოდ ერთი რამ არის ცუდი:  
ყოველი წესით  
თითქო ლექსია, მაგრამ მაინც  
არ არის ლექსი!“  
მრავალთან ერთად პოეზიას  
თვალის იხილავს  
როგორც ცხოვრების სახეობას,  
როგორც მის დილას.  
გამოსახებას — ამ შეცნობის  
ვრცელი გაგებით,  
რაიც შეიცავს მთელს მსოფლიოს  
მასზე ნაგებით  
მთელ სხეულებრივ და ზნეობრივ  
სამყარო-არეს,  
მის მწვერვალისკენ მისწრაფებას  
ჩანგით მოარეს.  
და საზოგადო ცხოვრება კმნის  
ჩანგის გარემოს,  
ჩანგის ზასიათს, საარეოს,  
სამდგომარეოს.  
საზოგადოთა ფორმაციას  
თვითოს თავისი  
იდეოლოგიის უმძაფრესი  
და უმწვავესი  
მიჰყვება რწმენა, გზის ჩვენება,  
მსოფლმხედველობა,  
რევოლუციის ფაზისები  
და წინმსვლტლობა,  
უარყოფელი დრომოკმულთა  
შემეცნებათა,  
ყოველნაირთა შემეცნებათ,  
რაც ძველს ებადა,

მისი სახელით კაცთა სისხლის  
 აკამარება.  
 და ჩვენ, პოეტებს, ხალხთან ერთად  
 ვით არ გვახსოვდეს,  
 რომ ჩვენს სამშობლოს ვემსახუროთ,  
 ვით არასოდეს!  
 სიმებო, ჩანგებს უკვდავების  
 ძალათ ექნებით  
 მოვალეობის სიყვარულის  
 მტკიცე შეგნებით.  
 მაშ, ვემსახუროთ კვლავ სამშობლოს,  
 მის დაძახებას,  
 მის ბორკილამყრელ მისწრაფებას!  
 მხნე მისწრაფებას!  
 პოეტის ჩანგი არასოდეს  
 არ მღუშარებდა  
 ადამიანურ გაღვიძების  
 პირველ კარებთან,  
 ისევ ადრინდელ საფეხურთან,  
 როდესაც ბასრი  
 ადამიანის აღმოცენდა  
 გრძნობა და აზრი,  
 აღმოცენების წამიდანვე  
 გაჩნდა ლირიკა,  
 ხალხმა ის იგრძნო, შეიყვარა  
 და შეირიგა.  
 მას აქეთია, რაკი გულის  
 კარი გაიღო,  
 ყოველ ხანაში და ყოველ დროს  
 ლირიკა იყო  
 ხალხის სულიერ, პოლიტიკურ  
 შრომითი ალის,  
 ცხოვრების ალის უდიდესი  
 სიმხნე და ძალა.

კაცობრიობის განუსაზღვრელ  
წინსვლის სახელით,  
სრულყოფილობის მიზნისაკენ  
თვალის გახელით.  
სიყვარული და კლასთა ბრძოლა,  
იდეა, შრომა,  
ურომელთოთაც დღეს მსოფლიოს  
არა აქვს ცხრომა,  
რომელთ გარეშე არ არსებობს  
კაცობრიობა,  
ვიდრემდის მათში ისახება  
აზრი და გრძნობა,  
მეცნიერება, უმაღლესი  
ფილოსოფია —  
დაძაბულობის, გამძაფრების  
წინათმგრძნობია  
მხოლოდ ღირიკით, მისი ღელვით  
და აზვირთებით,  
ტრიუმფალური და უბრალო  
ყვავილთ ტვირთებით.  
ეხლა განვიცდით ქარიშხლიან,  
შფოთიან ხანას,  
მოუსვენარს და მოგანგაშეს  
ვხედავთ ქვეყანას,  
კაცთა უკეთეს ნაწილის წინ  
დგას ამოცანა,  
უუდიდესი ამოცანა:  
შესძრას ქვეყანა,  
რევოლუციის შეაერთოს  
ყველა ძალები,  
წარმართოს იგი სასიცოცხლო  
აგრიალებით,  
რათა მან შესძლოს კაპიტალის  
დასამარება,

ორთეოსს ხალხი მიაწერდა  
 მაგიურ ძალას,  
 ის სიმღერებით ძრავდა კლდეებს,  
 ტყესა და ქალას,  
 აჯადოებდა თვით უგულოთ,  
 ღმერთებს ძლიერებს,  
 ლირიკა მისი მხეცებსაც კი  
 ათვინიერებს.  
 თვით ლირიკული პოეზიის  
 მამამთავარი  
 იყო არხილოს, მისი ფუძე,  
 მისი ჯავარი.  
 მას იამბებით ემხრობოდა  
 ჩანგის აწყობა  
 ვერ აიტანა რა ღირსებით  
 შეურაცხყოფა...  
 ვიგონებთ — როგორ გარდასული  
 დროით და ჟამით  
 დაფარულ ძალას ატარებდა  
 ლირიკის შხამი!  
 ლირიკის წინსვლას სივრცეებში  
 რა შეანელებს.  
 მცირერიცხოვანს, უმწეობად  
 მყოფ სპარტანელებს  
 მრავალრიცხოვან მესინელთა  
 მოერთყა ალყა.  
 სპარტანელებმა მაინც სძლიეს  
 მძვინვარე ტალღა,  
 ტირტეს მგზნებარე სიმღერების  
 სძლიეს წყალობით,  
 პოეტი ჰკრებდა თავის ჩანგის  
 დაუმცხრალობით  
 ხალხის საომარ ენერჯიას  
 და ნებისყოფას,



გამამხნეველად უმღეროდა  
მეომართ წყობას!  
მეგერიანთა მიერ ბრძოლის  
დროს წართმეული,  
არათანასწორ ომის შემდეგ  
ცეცხლში ხვეული,  
ათინელებმა დაიბრუნეს  
კვლავ სალამინი,  
ოდეს სოლონის სიმღერების  
გაისმა ქინი;  
მისმა სამხედრო სიმღერებმა  
დაიგუგუნა,  
და მსწრათელ ათინამ სალამინი  
კვლავ დაიბრუნა.  
ჟამთა სიავემ ფერფლად ქნარი  
რომ ვერ აქცია,  
გამოსცდა წარსულს და ჩვენამდეც  
კი მოაღწია  
ელეგებმა, რომელშიაც  
სოლონი ხვევდა  
ფილოსოფიურ, სოციალურ  
შეხედვათ სევდას;  
თავის კანონებს, ძეგლისდებას,  
წერილს, ბრძანებას —  
ლექსს უკავშირებს, პოეზიის  
ახმოვანებას.  
სამშობლოსადმი სიყვარულსა  
და მის დიდებას  
მღეროდა მძაფრი პოეზია  
სიმონიდისა  
და მერე როგორ! მიუწდომლად  
ნათელ-მკაფიოს,  
მის მიერ შექმნილს, მრავალთ-მრავალ  
ეპიტაფიას

საშვილიშვილოდ გადასცემდნენ  
გმირთ სათლავები,  
თუმც სამუდამოდ დამცხრალია  
ის მხარ-მკლავები,  
უკვდავყოფელი ჩანს წარწერა  
გრძნობის თბილისა,  
იმ ადგილს, სადაც ხეობაა  
თერმოპილისა:  
„ლაკედემონელთ ამცნე, მგზავრო,  
და გადაეცით:  
ყველა ერთგულნი სამშობლოს  
ჩვენ აქ დავეცით“.  
რაოდენ ბრწყინვით მიდიოდა  
ძველი ელადა,  
ლირიკა მისი ეროვნული  
იყო და სადა.  
რა ძლიერია უბრალობით  
ქნარი იმდარი,  
რა საოცარი ხმით მღეროდა  
მაშინ პინდარი!  
ბრწყინვალესი და მშვენიერის  
მქონე იერის  
მღერდა ელადის სიღიადეს  
და სიძლიერეს;  
მისი ოდები და ჰიმნები  
რა აღტაცებით  
შეჯიბრებებზე გამარჯვებულთ  
პატივსაცემად  
ოლიმპიისა და პითიის  
ხატავდა სახეს,  
იმ ხალხის რწმენას, იმ სიმაღლეს  
და სიამაყეს;  
გენიის კართან, მოწოდების  
მგრგვინავ ზარებთან

პოეტის ჩანგი არასოდეს  
არ მდუმარებდა;  
სტროფიკა უხვი და სახეთა  
სიმშვენიერე  
მსახველი ძალა, მკერმეტყველი  
და მოსიმღერე,  
უპირველესი პირველთ შორის  
არის პინდარი —  
ელინურ ჩანგის სიმახვილე  
და საწინდარი!  
თავისუფლების მისწრაფებას  
რომ გაჰყოლია,  
სახელგანთქმული მრავალია  
ძველი სხოლია,  
ლექსი, თავისი სიმახვილით  
ხანჯალის მსგავსი,  
სამშობლოსადმი თავდადების  
გრძნობებით სავსე.  
„მინდა მახვილი მოვართო ტვიით  
მათ მსგავსად ოდეს  
არისდოგიტონ გამბედავის  
და მხნე ჰარმოდეს  
მიერ ტირანის მოკვლით ხალხის  
მონობა კვდება,  
კვლავ დაუბრუნეთ ათინელებს  
თავისუფლება.  
არა, ჰარმოდი, შენ არა ხარ  
არასდროს მკვდარი,  
იმ უნეტარეს კუნძულებზე  
გიპოვის ქნარი,  
სად უსწრაფესი აქილესი  
და დიომედი,  
ძე ტიდეასი რომ ცხოვრობენ,  
გიპოვით ბედი.

მახვილი ჩემი მსურს ვატარო  
ტვიით და ხავსით  
არისტოგიტენ და ჰარმოდის  
დღეების მსგავსად,  
ოდეს თქვენ მიერ — პალადის დღეს —  
მოკლული იქნა  
იპარხი, მხეცი და ტირანი.  
მხარე გარდიქმნა,  
სახელი თქვენი საუკუნეთ  
ხსოვნისთვის ზიდონ,  
ძვირფასო წყვილო, ჰარმოდი და  
არისტოგიტონ!  
მისთვის ტირანის მოკვლის შემდეგ  
ათინა დგება.  
ისევ შეჰქმენით ათინისთვის  
თავისუფლება“.  
თავისუფლების, ხალხისათვის  
მებრძოლ კარებთან  
პოეტის ჩანგი არასოდეს  
არ მდუმარებდა!  
რად უწოდებენ საქართველოს  
მგოსანთა მხარეს?  
მის მთებს და ქალებს, უღრან ტყეებს,  
ლამაზ ხეობებს,  
მის ძველ ნანგრევებს, ციხე-კოშკებს,  
შემოგარეებს,  
მის ჯირითობას, ბურთაობას,  
ხალხურ დღეობებს  
უძველეს ხნიდან პოეზია  
სდევდა ზეპირი  
(აღრე სანამდის შეუყვარდა  
ხალხს პერგამენტი),  
მძლავრი ვით ქარი, ნაზი — როგორც  
მთების ზეფირი;

ომის დრო იყო, თუ უღრუბლო  
იყო ამინდი,  
უძველეს ხნიდან დაწყებული  
რუსთაველამდე,  
რუსთაველიდან ჩვენამდე რეკს  
ივერთა ჩანგი,  
მასთან უძლური იყო ცეცხლი,  
ასული ცამდე,  
ათასი ჩინგის, მაჰმადხანი  
და თემურლანგი.  
ეხლა კი ჩემთვის ნათელია,  
თუ ივერიის  
მცირეზე მცირე რიცხვობრივად,  
პატარა ერი!  
მარად, ყოველმხრივ შემორტყმული-  
უამრავ მტერით  
მაინც გადაჩა, და გადაჩა  
ის როგორც ერი, —  
აქ პოეზია იყო მისი  
შემქიდროება,  
ანკარა წყარო, მომჩქეფარე  
იმ ხალხის გულით,  
მის სასიცოცხლო ძალთა-ძალაა  
და საზრდოება.  
აი ლირიკა მთელი მისი  
დიდი წარსულით,  
აი რად უყვართ საქართველო  
მსოფლიო ქნარებს,  
რად უწოდებენ საქართველოს  
მგოსანთა მხარეს!  
სამხრეთის მზის ქვეშ, მთის ჰაერში  
ყვავიან ვარდნი —  
ფერად-ფერადნი, მშვენიერნი,  
სურნელით წმინდა,

არ ეშინიათ არც გრიგალის  
 და არც თოვლვარდნის,  
 მათში ძალა და სიხარული  
 მოსქვივის მზიდან,  
 უძველეს მიწას, უძველეს ერს  
 ლაქვარდი ცისქვეშ  
 მძლავრი, გმირული პოეზია  
 უნათებს თვალებს,  
 წარსულისადმი უდიდესი  
 მაღლობის გრძნობით  
 რუსთაველისას კვლავ ვახსენებთ  
 სახელს ბრწყინვალეს.  
 პოემა ვეფხის — პოემაა  
 გრძნობის მზიურის,  
 სიყვარულისა, თავდადების,  
 გმირობის, სიბრძნის!  
 მას იმეორებს მკაცრი სვანი,  
 გმირი ხევსური,  
 მთლად საქართველო, როდესაც ის  
 შრომობს ან იბრძვის.  
 თუმც ბევრი სისხლი, ჩვენო მიწავ,  
 მიმოიღვარა,  
 მაინც, როგორც შენ, ვერამცდენმა  
 სიმწრის ფიალის  
 აბაყი ქედი პოეზიამ  
 არ მოიხარა  
 შემოსეულთა, დამპყრობელთა  
 წინაშე ძალის  
 ღრმა მწუხარება მშობელ მხარეს  
 მოდებულ ჩრდილის  
 იყო გულწრფელი მელოდია  
 გურამიშვილის.  
 ვით ახალგაზრდა კავქავაძის  
 რომანტიკულ სულს, —

სამშობლო მხარის დამპყრობელის  
სიფერაგე სძულს.  
რომ თვით ჯალათებს, გადაქცეულით  
სმენად და ჭვრეტად,  
მცოდნეთ რა ძალა, რა სიმტკიცე  
ღვივის გზნებისთვის,  
შიშის ზარს სცემდა პოეზია  
უფრორე მეტად,  
ვინემ ფერმკრთალი შეთქმულება  
აჯანყებისთვის.  
როგორ მიჭროდა ის მერანი  
ფაფარგაშლილი,  
სავსე პათოსით და გრძნეული  
ვით კორმორანი,  
იკაწრებოდა ხალხის ბედით  
ბარათაშვილი,  
იმ ხალხის, რომელს თვალბედითი  
სდევდა ყორანი.  
ცხარე ბრძოლის ხმა ეპოქასთან  
გადაზრდილია,  
ხმა სიყვარულის, ხმა მონობის  
წინააღმდეგი,  
ცეცხლი — აკაკი, გმირი — ვაჟა,  
ბრძენი — ილია —  
რამდენი გმირი და რამდენი  
კიდევ ყაზბეგი!  
მათი ხმით ზარი გაღვიძების  
კვლავ დაირეკა.  
ხალხის ზრახვებს და წინათგრძნობებს  
მათ მისცეს მხარი, —  
აი რა მიზნებს ისახავდა  
ჩვენი ლირიკა,  
რად ეწოდება საქართველოს  
მგოსანთა მხარე!

როგორ ბრწყინავდა, საქართველოვ,  
ის შენი ლექსი.  
შენი ლირიკა უმდიდრესი,  
უსაყვარლესი,  
მრავალ სხვადასხვა სიმღერების  
წყობად წყობილი,  
კეთილშობილი, ხალხის გულით  
წარმოშობილი,  
ისტორიული სინამდვილის  
ხმით დატვირთული,  
გარემოცვათა უმრავლესთა  
განცდათ სირთულით  
ლირიკა იყო ქვეშარიტად  
ღრმა, ეროვნული,  
ლირიკა იყო ხალხის სული  
და ხალხის გული;  
ის არ მოემწყვდა პიროვნულ და  
ინ ზემურ სფეროს,  
ის ასახავდა უურთულესს,  
ულრმესს, საეროს.  
ადამიანის საეროსთან  
დამოკიდებას  
საგმირო საქმეთ, სამშობლოს  
მისის დიდებას  
მოუწოდებდა ბრძოლისაკენ,  
ძრავდა მშვიდობას,  
ნიღაბს აცლიდა, დასცინოდა  
პირობითობას,  
ებრძოდა, თხრიდა კაცთა ყოფნის  
ღრმომოკმულ ფესვებს,  
უუმძაფრესი გულისყურით  
ისმენდა ლექსებს,  
ვით მოწინავე, ისე მისი  
წინააღმდეგი,



ჩანგის, ჩონგურის და კალამის  
იყო დამდეგი  
რაპსოდოები, ელეგია,  
ოდა და ჰიმნი,  
იმღერებოდა, ითქმებოდა,  
ღელავდნენ სიმნი.  
გაღვიძებულნი სხვა საგანთან  
შეჯახების დროს,  
არ მდუმარებდა პოეტების  
ჩანგი არასდროს.  
იყო ხან ნაზი, ხანაც მძაფრი,  
ხანაც მქუხარე, —  
აი რად ჰქვია საქართველოს  
მგოსანთა მხარე!  
ლირიკა ჩვენგან დაშორებულ  
ივერთა დროის  
ისევ გვაოცებს, გვართობს, როგორც  
სუნთქვა ალოეს.  
იმ ხანებიდან უშორეს და  
დიდი ხნის შემდეგ  
რად არ დაკარგა მან თავისი  
სიახლე დღემდე?  
რისთვის გვაღელვებს მისი ძალა  
ცხოველმყოფელი,  
რისთვის გვანიჭებს მხატვრულ შვებას  
განუქრობელი?  
რისთვის, სახელდობრ, ჩვენს მხარეში  
აქლერდა ქნარი  
მომჯადოები, მშვენიერი,  
დაუვიწყარი?  
ვისგან მიიღო ამნაირი  
ქმედითი ძალი,  
რომ თვით შეიქმნა მოძრაობათ  
ძლიერი ალი?

იგი ლირიკა არის ძალა  
 და ვერვის უთქვამს,  
 მარადისობით და სიცოცხლით  
 რომ ის არ სუნთქავს,  
 გადაქცეული გულის შთამბეჭ  
 მეომარ მკერდად  
 საქართველოს ვითარება  
 და სელასთან ერთად.  
 ლირიკას ჩვენსას უყვარდა და  
 უყვარს ბუნება,  
 იგი ხალხის გულს სიხარულით  
 ესალბუნება;  
 ლირიკა იჭერს ქარის ქუხილს  
 და მერნის ჭიხვინს,  
 ლირიკას ხიბლავს სილუეტი  
 მთაზე მდგარ ჯიხვის;  
 წვიმამ გადილო, მთლად გაბრწყინდა  
 ხე და ხეხილი,  
 მუხლი მგზავრისა ქრის კიბეებს  
 მთისას, კეცებრივს,  
 ტყე, ბილიკები და ლატფარის  
 უღელტეხილი,  
 მხოლოდ ხევის ხმა, ანუ ვეფა  
 მწვევარ-მეძებრის.  
 უეცრად კლდეზე შვენებასა  
 ხედავ ზეცებრივს,  
 დგას, როგორც ჯილა კავკასიის  
 მთების მჭეხარის, —  
 იგი ჯიხვია, სიმბოლო აზრთ  
 გაასკეცების,  
 თავისუფლებას, სიამაყეს  
 იგი შეჭხარის.  
 გვიყვარს ბუნება, ცისარტყელა  
 მოჩანს ტეხილი,

ნაზი საგანი არემართ  
 თვალმიცეცების.  
 ჯიხვს ცისარტყელა მწყობრ რქებზე აქვს-  
 ვადაგრეხილი,  
 დიდი იმედი მას შვიდფერად  
 ზედ ეკეცების,  
 ჰაეროვანი სიდიადე  
 ფერად ლერწების!  
 სიმაღლე სალ კლდის, თმათეთრის და  
 ქიმნამეხარის, —  
 თავისუფლებას. სიამაყეს  
 ჯიხვი შეჰხარის.  
 გვიყვარს ბუნება, მთა გუგუნებს  
 გულგაღელილი,  
 მარადი მტერი დაცემის და  
 დანამცეცების,  
 მაღალი კოშკი და ისევ ტყე  
 გაუჩეხელი,  
 თავშესაფარი და ბუნავი  
 დაღლილ მხეცების.  
 ჯიხვი სჯის: არა, ბუნების გზა  
 არ იღეწება,  
 ვერც წარსულისთვის კრიდეს ძალა  
 ვერვის, ველარის.  
 სალამოვდება, მთებს ირიბი  
 ჩრდილი ეცემა.  
 თავისუფლებას, სიამაყეს  
 ჯიხვი შეჰხარის.  
 ჩამოჰკარ ჩანგებს, ჭუნირისა  
 ხმა უყვართ ლექსებს,  
 იმღერე ჯიხვზე სიმღერები  
 გულუტეხარის,  
 ჯიხვი ღირსია დათმობის და  
 მიაღერსების:

თავისუფლებას, სიამაყეს  
იგი შეჰხარის.  
ეხლა ეპოსი თუ რომანი,  
დრამა მრავალი,  
ლირიკა, როგორც ნაწილი რამ  
შიგ შემავალი,  
თავის სიმძაფრით, თავის ვნებით  
სიტყვის ამ დარგებს  
ამოუწურავ ენერგიით  
უფრო აკარგებს,  
აღრმავებს განცდებს, აცხოველებს  
გრძნობებს და მოსავეს  
ახალ ელფერით, ახალი გზით  
მიმავალ პროზას.  
რაც უფრო მაღლა მიდის აზრი  
ესევეთარი,  
ლირიკა ხდება უფრო მძლავრი,  
უფრო მდიდარი.  
ის შინაარსით ისევეა, რაც  
ფილოსოფია,  
ხმათა შერჩევით კი მუსიკის  
ჰანგთა მყოფია.  
როგორ სარკეობს იმისი ხმა  
და როგორ ბროლობს --  
ბევრი რამ გვითხრას, შეუძლია  
ფაუსტის პროლოგს:  
აღტაცებული მომღერალი  
გულთ რით აჩვილებს,  
მარქვით, სტიქიონთ იმ მომღერალს  
ვინ უმორჩილებს,  
თუ არ აკორდი, შემოქმედის  
უმძლავრეს მწველი,  
გულით ნახეთქი, მსოფლიოის  
მთელის შემცველი.

სული პოეტის სარკე არის  
სივრცის, დროისა,  
სული პოეტის არის ცენტრი  
მსოფლიოისა,  
სული პოეტის არის მისი  
ყოფნის დღეები,  
არის ფოკუსი, ერთდებიან  
სად იღეები  
ყოფნის ერთობის შემცველი და  
შემთავისებელი;  
რაც უფრო ღრმაა შემეცნება —  
წარმოდგენაში  
ყოველი ერის ღრმად ჩანერგილ  
რამე რწმენაში  
რაოდენ გრძნობით სამყაროს წინ  
არ შეჩერდება —  
მხოლოდ და მხოლოდ ლირიკაში  
სახიერდება.  
სული პოეტის — ჰეგელის თქმით —  
წარმოადგენდეს  
უნდა გარემოს, იგი სული  
უნდა დადგინდეს.  
ვნებათ, იღეათ, შეჯახებათ  
მთელ სიავეკარგეს,  
ყველაფერისას ხელთ გვაძლევდეს  
ერთ მთლიან სარკეს,  
რაც კი ძალუძს დაიტეოს  
ადამიანთ გულს, —  
სხვანაირი გზით პოეზიას  
წინსვლა არ ძალუძს.

ხსნის რა ლირიკის არსს, ბუნებას,  
ჰეგელი ამბობს:

შთაბეჭდილებათ და იღეათ,  
რომლითაც ლამობს  
შექმნას პოეტმა, უნდა ჰქონდეთ  
მათ ნიშნადობა  
საერთო, რათა ჭეშმარიტი  
იყოს ის გრძნობა,  
რომლისათვისაც პოეზიის  
ცოცხალი ქნარიც  
ჰქმნის სახეობას და აგრეთვე  
ისევე ჭეშმარიტს.  
ასე: ღირი, ეს გვევლინება  
ღრმა აზროვნების  
ერთ მხარედ, რომლის მიზანია  
კაცთა ხსოვნება,  
ჭეშმარიტებათ ძიება და  
გამოვლინება,  
გამოცხადება, ამ ცხოვრების  
მხარეს დინება,  
რათა მთესველი უდაბურსაც  
ნელლით შეთესდეს,  
გაუმჯობესდეს ეს ცხოვრება,  
გაუკეთესდეს!  
„თუ რომ ცხოვრება ჩამოგვეთოთ  
ვით ქანდაკება  
და ცხოვრებითვე რომ ავაესოთ  
აზრი, გაგება —  
ძალას, რომელსაც ჩვენ ცხოვრება  
გვაძლევს — მჭედელი,  
მიეცი ნება, იყოს მქნელი,  
ჩამომკვეთელი...  
რა კი არსებობს ხალხის ვნება  
ყოველდღიური,  
რა კი მოითხოვს — იყოს მძლავრი,  
ტიტანიური

მისი ტრიბუნი, მოციქული,  
მისი მესია —  
მოვალე არის, რომ ცხოვრება  
და პოეზია  
ერთმანეთისგან არ გათიშოს,  
არ დააშოროს,  
არამედ უფრო განამტკიცოს  
და დააშუროს,  
თორემ რა მიზნით, რა იმედით,  
ვისთვის და რისთვის  
ხმა გაისმოდა: „პოეზია —  
პოეზიისთვის?“  
რად მდინარებდა პოეზია  
რადაც თვითმიზნად,  
დაშორებულად ხალხისაგან,  
უცხო გულთმისნად?  
რად ესწრაფოდნენ ცხოვრებისგან  
განცალკევებას,  
ჩამოშორებას, განზე დგომას  
და განტევენას?  
რად ივიწყებენ, რომ პოეტი  
ხალხის წინ მდებგი,  
თვით პოეზიაც — ამ ცხოვრების  
არის შედგენი.  
მაინც რა მიზნით, რა იმედით,  
ვისთვის და რისთვის  
გაიძახოდნენ: „ხელოვნება —  
ხელოვნებისთვის!“  
რისთვის ფანტავდნენ ამ ლოზუნგით  
სიტყვათ შედევრებს,  
რისთვის ეძებდნენ საამისოდ  
ერთგულ მიმდევრებს?  
სხვა სიამეთა მაძლარ წყურვილს,  
ვნებათა წყურვილს,

და პოეზიას -- საუცხოოდ  
ჩაცმა-დახურვის  
შნოიან, მორთულ და დახვეწილ  
განცდების მორევს,  
გრძნობიერებათ სიმახვილეთ,  
ბურუსთ სიშორეს,  
თორემ რა მიზნით, რა იმედით,  
ვისთვის და რისთვის  
აქანდაკებდა მოყმე ვინმე  
სიტყვას-სიტყვისთვის?  
განირჩეოდა ჩამოკვეთით  
ვით სარკე თქმულთა  
ზოგიერთის ხმა თავის წმინდა  
შეენების კულტით,  
ღრმა კონცეპციით -- მხედველობის  
დიდი სინათლით;  
რა მოხდა შემდგომ? ან რომელი  
პარნასის მადლით  
მიმართეს ეფექტს, უცნობლობას,  
უვალობის ხევს,  
გრძნობიერებათ სახეებში  
პოეზია ხვევს  
და მათში ხედავს უმაღლესი  
იდუმალების  
გამოვლინებას: დიდი ტანჯვის,  
დიდი წვალების,  
მარადისობის სიმბოლოებს,  
ნიშნებს გვიანებს,  
ნიშანი, რაიც ყველა იმათ  
აერთიანებს,  
რომლის ქვეშ ყველას იდუმალი  
გზა ეგულება:  
წმინდა, უმწიკვლო ფორმისადმი  
ბრმა ერთგულება!



არ შეიძლება სილამაზე,  
 პლასტიკურ ლექსის  
 ვინმემ უარყოს: სილამაზეს  
 თან უკეთესის  
 ახლავს მშვენიერ გარეგნობის  
 ნორჩი რტოები,  
 რაღაც ახალით და ძვირფასით  
 მომჯადოები.

არ შეიძლება! უარყავი  
 და არ იახლე  
 მუსიკალური აკორდების  
 მძლავრი სიახლე!  
 მხოლოდ მდიდარი ემოციით  
 პოეტის ქნარი  
 იმ აკორდებით შეიქნება  
 ნაზი და მყარი.

არ შეიძლება, რომ უარყო:  
 სწორედ ეს ბგერა  
 მიმომღერების, მრისხანების,  
 სინაზის ჟღერა  
 არც ისე დიდი ხანი არის,  
 რაც ოსტატურად  
 მსოფლიოისა პოეზიას  
 მიემსახურა

„ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონების  
 კარგ თარგმანებით.  
 რაც უნდა საქმე არა ჰქონდეს  
 უცხო ზმანებით  
 სავსე ლირიკას, სხვა იდეურ  
 უნაყოფობას,  
 ქსელში, რომელიც აქ გაუბამს  
 ცბიერ ობობას,  
 კართან, რომელიც ასე გულქვად  
 მათთვის ჩაჰკეტეს,

არვინ უარყოფს: ძლიერ ბევრი  
რამ გააკეთეს;  
მარტო პოეტურ ეფექტისთვის  
მსგელოდი როდია  
ზომიერება, მკაფიო ხმა  
და მელოდია  
სხვა გარემოთ მიიმართვის  
ჩვენი მსგელოდობა,  
დღეს მრავალ ლოზუნგს აღარა აქვს  
ის მნიშვნელობა,  
რას ესთეტიკურ მანიფესტთა  
ითხოვდა ღალა —  
არ შეიძლება ჩვენთვის ჰქონდეს  
რაიმე ძალა,  
მაგრამ იშვიათ ყურადღებით  
ყოველდღეობა  
ყველაფერს, რასაც ეწოდება  
მემკვიდრეობა,  
თვალწინ იყენებს და თვის მიზნებს  
უქვემდებარებს:  
მიზნებს მშობლიურს, წინდახედულს,  
მიზნებს მკზნებარეს.  
ჩვენ გამოვშორდით იმ ბურჟუებს,  
იმ თვალახვევას,  
და არ ვეძლევიტ უსარგებლო  
თავბრუდახვევას,  
მხოლოდ ეს არის: უსარგებლო  
როდი იქნება,  
თუ პოეზიით განიცდება  
და შეიგნება,  
თუ მიეჩვია სმენა კეთილ —  
ახმოვანებას, —  
ამით ლექსს ვერც დრო დააბერებს,  
ვერც ხმოვანება.

უნდა იშრომოს ახალგაზრდამ,  
უნდა იღონოს,  
იმ ხმოვანების ძლიერება  
რომ შეიგონოს.  
მაშინ გადმოშლის, ლირიკისთვის  
რაც ეგულება,  
ჩვენი ეპოქა, მისი დიდი  
ღირებულება.

ამხანაგებო! მე ვსაუბრობ  
როგორც პოეტი,  
აკადემიურ აზრთა მარად  
დამკვიერი მხარის,  
მაგრამ მე მინდა მოგაგონოთ  
ის უცხოეთი,  
სადაც მოკვდავზე იძახიან:  
„უკვდავი არის“.  
ჩვენს იქ ყოფნაში საფრანგეთის  
აკადემიას  
უსრულდებოდა ანგარიშის  
წელი სამასი  
და დღესასწაულს, ფერად-ფერად  
ნაკადებიანს,  
მოგონებათა ედებოდა  
ფერი ლამაზი.  
მაგრამ მე ფრანგი პოეტები  
არ მეცოდება,  
წმინდა ფრანგული მოწიწებით  
ედღევა ოდეს  
აკადემიის წევრს უკვდავის  
სახელწოდება  
და მომაკვდავის უბრალოსი —  
ბალზაკს და დოდეს.

არც მოპასანი, არც ფლობერი,  
 არც მოლიერი -  
 უკვდავთა შორის არ იქნება  
 დაფნით მავალი,  
 სამაგიეროდ იქ ჰერცოგი  
 შედის ძლიერი  
 დე-რიშელიე, კარდინალთა  
 შთამომავალი;  
 ის რიგიანად თუ ვერ დაწერს  
 უბრალო წერილს,  
 არის სიმბოლო საფრანგეთის  
 ძველი დიდების,  
 აქ ხმის მქონე ღუმს გაოცებით,  
 უხმო კი მღერის  
 თავდავიწყებით, ხრინწიანად,  
 გაბედითებით.  
 კათოლიკეებს, ფეოდალებს,  
 სარდლებს, პრელატებს  
 იმ დარბაზებში ვერვინ ეტყვის  
 „დაფნა ჩემია“,  
 ძალმომრეობის და დაცინვის  
 ფერადებს მატებს  
 ეხლაც, წინათაც, ამნაირი  
 აკადემია.  
 გზაზე მუნდირი შემხვდა მწვანე,  
 ქცეული ამბად  
 (აკადემიკოსს ამ მუნდირში  
 ვინ არ ადიდებს),  
 მხოლოდ კონგრესზე ვერქაროდი,  
 მოვშორდი სწრაფად  
 აკადემიას, ლუვრის დარბაზს,  
 კარიატიდებს.  
 თუნდაც სხვა მხარე. ხედავთ, პოეტს  
 როგორ სდევნიან,

შეხედეთ, მხეცი რამდენს აღრჩობს,  
აწვალებს, ბორკავს,  
თუმც ნაწვალები, შებორკილი  
ხალხს ურჩევნია  
მინც თავისი ფედერიკო  
გარსია ლორკა.  
ფუქია ღრენა მის სახელთან  
ქვეყნის ბებერის:  
ის მღერდა, ვით გმირს, უანგარო  
პოეტს შეჭფერის,  
მაგრამ სახელი მისი მკვლელის  
კაპიტალია.  
აი პატარა, უსულგულო,  
ვიწრო გალია,  
სადმე ევროპის შუაგულში,  
მყუდრო ბინაში:  
აღამიანი მარტო დარჩა  
თავის წინაშე.  
მრავალ კითხვაში ის მარტოა,  
ის პოეტია,  
ის მსოფლიოში არ იქნა და  
ვერ დაეტია.  
და აქ, შენს ფრთებს ქვეშ, შებუდრულა  
მწარედ ნასეტყვი.  
მის მარტოობას, კაპიტალო,  
ვნახოთ, რას ეტყვი?  
რამენაირად დაიმკვიდროს  
სურს თავისთავი,  
შენ ბურუსში ხვევ და ხარ მისი  
სულთამხუთავი.  
აწუხებს მწარე ბედისწერა,  
ღმერთი, ღრუბელი —  
არაბუნებრივ გალაქული  
და დამლუპველი.

ჩანგის სიმები, ჩამოქნილი  
 დროთ სათარეშოდ,  
 სუნთქავს, ბუტბუტებს და ხმაურობს  
 უანგარიშოდ.  
 და მარტოობა, მარტოობა  
 ფარავს მის სიტყვებს:  
 მსოფლიო თითქო არ პასუხობს  
 პირად შეკითხვებს.  
 მარტოობაში ცხოვრობს იგი  
 ოქროს სიზმრებით,  
 თავის მტანჯველი, საშინელი  
 გამოღვიძებით.  
 მითხარით ეხლა, პოეტია  
 კაცი აზგვარი?  
 არა და არა, ის მკვდარია,  
 სიცოცხლით მკვდარი!  
 პოეტი არის, ვისიც მარად  
 მასას ედება  
 მდიდარი, რთული ფრთამახვილი  
 შემოქმედება,  
 ვინც ესპანეთი სასიცოცხლო  
 ვარდებით მორგა —  
 დიდი პოეტი: ფედერიკო  
 გარსია ლორკა,  
 ვინც უანგაროდ ხალხს შესწირა  
 მგზნებარე ქნარი!  
 ის მოკლეს, მაგრამ ის არასჯროს  
 არ არის მკვდარი!  
 მრავალი რამე შეიძლება  
 ამ ქვეყნად გაქრეს,  
 დრო ვერ სძლევს მხოლოდ ამღერების  
 ციხე-სიმაგრეს.  
 იყო სვანეთში მშვენიერი  
 სოფელი მხარის,

სახელად ერქვა ლალავერი,  
ეხლა არ არის.  
დილით რომ „ლილეს“  
მღეროდა ჩანგი,  
მზის რომ ათრობდა მოგონება  
ათას-ათასი,  
შორი ღრუბლების ჩერდებოდა  
ფერადი ქანგი.  
მშვენიერ ქალთა, ხორუმელთა,  
როკავდა დასი,  
შუქი თეთნულდის ელვარესი,  
შუქი უშბასი,  
რომ ეხვეოდა ღრუბელს, როგორც  
სახლს ტალავერი,  
სიზმარებრ გაქრა აღნაგობათ  
რიგი ძვირფასი.  
სიზმარებ გაქრა მშვენიერი  
ის ლალავერი!  
ხან სანადიროდ, ან ნადიმად  
წასული, ხან კი  
მაჩუბის კერქვეშ მომღერალი  
ვაჟი კისკასი;  
ზეცა მოთეთრო, როგორც ქულა,  
ქერი — ვით ზანგი,  
მკაცრი — ვით მთები მშობლიური,  
ნაზი — ვით საზი,  
ხელში რომ ლხინის მოელვარე  
ეჭირა თასი,  
უტკბესი უფრო, ვინემ შორი  
ბარის ჩხავერი, —  
სიზმარებრ გაქრა მშვენიერი  
ის ლალავერი!  
მოაწყდა რასმე უეცარი  
სისხლისა თანგი,

ნუ შხამი რამე უნდობარის —  
გველის, წარბასი,  
იქნებ მოვარდა ამომწყვეტი  
სნება და მანკი,  
ან ცეცხლმა შთანთქა, ნაცრად იქცა  
ქზო-დარბაზი,  
დალეწა კოშკი უმაღლესი,  
ჩაღეკა ვაზი,  
დასძრა ფაქალი ფიქალებზე  
როგორც ყავარი,  
ვინ უწყის, როგორც მძლავრი მუხა,  
თუ უსურვაზი,  
სიზმარებრ გაქრა მშვენიერი  
ის ლალავერი!

ვდგევარ და ვფიქრობ, თუ რა მოხდა,  
რად არის ასე,  
აქ ხომ არც ქვაა, არც ნაფოტი,  
არც ბალავერი.  
არაფინ იცის, თუ ვის მიერ,  
როდის ან რაზე  
სიზმარებრ გაქრა მშვენიერი  
ის ლალავერი.  
მაგრამ სიმღერა გაიგონა  
მეორე მთამა,  
როგორც შეიღს ანდერძს დაუტოვებს  
მოხუცი მამა,  
ისე დატოვა ლალავერმა  
სიმღერა „ლილე“,  
თვით სამუდამოდ შეერია  
წარსულის ჩრდილებს,  
მრავალი რამე შეიძლება  
ამ ქვეყნად გაქრეს —



ვერგინ გააქრობს ამღერების  
ციხე-სიმაგრეს!

არ არის ქნარის ღუმლისთვის  
რამე მიზეზი  
მხარეში, სადაც მშენებლობა  
გვაქვს უდიდესი.  
რა დიადია, რა მაღალი  
ეს მშენებლობა,  
რა მრავალია კიდევ მეტი  
შესაძლებლობა!  
რომ აწამებდა მოწინავეთ  
მრავალ ხანაში, —  
ხორციელდება იდეალი  
ერთ ქვეყანაში.  
ჩვენ, პოეტები, საუკუნით  
ვართ მოვალენი,  
რომ მის ნათებას მოწიწებით  
მივაპყრათ თვალი,  
გზა გავუკაფოთ სხვებთან ერთად  
დიად იდეებს,  
იმათ დროშებს და სიმაღლეებს,  
მათ სიდიდეებს.  
ვიპოვოთ წყარო უწმინდესის  
მისის სათავით,  
უბრალოებით, მარტივობით  
და სისადავით!

ღირიკა თრთოდა, მძლავრდებოდა,  
ქუხდა საერთოდ,  
კაცობრიობის სვლასთან ერთად,  
მასასთან ერთად!  
რევოლუციით ვიდოდა წინ,  
როს უახლესი

ქაცთა ცხოვრების იდეალები  
ჩნდა უმაღლესი.  
გარდატეხები მსახურებდნენ  
რა ნიადაგად,  
ძვრები წინ სწევდნენ პოეზიის  
ცეცხლოვან ნაკადს —  
ჯერეთ მდინარედ, მერე ზღვებად  
რომ გასწვდენია,  
იბადებოდა ბუმბერაზი  
მაშინ გენია  
და მომავალი თაობისთვის  
ის წყვეტდა ძლიერ  
დიდ ამოცანებს, დასმულთ წინა  
თაობის მიერ.  
მისწრაფებანი, ქმნილნი რყევად  
და ამბოხადა,  
თუ არ შექსპირმა, თავის დროის,  
ვინ გამოხატა?  
ჰამლეტის ეჭვში უმრავლესი  
წინასწარ სკეივის  
ფილოსოფიის მონათებათ  
შემდგომი სხივი.  
აგრეთვე წიგნი და ეპოქა  
ალიგიერის  
ანარეკლია შეჯახების  
ძლიერ-ძლიერის,  
რუსოს გენიას ქარიშხლიანს  
შეეძლო რისთვის  
შეეწყო ხელი ახალგაზრდა  
გოეტეს ხმისთვის,  
თანაბრად ხმისთვის, რომელმაც ვით  
ცეცხლის ბზრიალა  
მარსელიეზად საფრანგეთზე  
გადიგორიალა.

ღირსიკად ყველა უმთავრესი  
რაც სიზაგრეა,  
რევოლუციის ქარიშხალნი  
წინარ დაჰკრიან.  
რამდენი ერთი როგორნაირს  
მისდევდა ვნებას,  
მკაცრ ეპოქაში რომ აქებდა  
თავისუფლებას!  
ლექსი ცოცხალი მოწამეა  
როგორც დღე-ღამე,  
საბედისწერო ქარიშხალთა  
დიდი მოწამე!  
ოდეს მომწიფდა აღელვებულ  
ხალხში ნათესი  
აზრით და საქმით ოქტომბერი  
უდიადესი,  
კაცობრიობის ჯერარნახულ  
მზის ამონთებით —  
თვალუწვდენელი გაიშალა  
ჰორიზონტები.  
უკეთესთ შორის უკეთესი  
ამ ხნით იქნება  
ღირსიკის სჯლი, მისი ხალხთან  
გადაწიგნება.  
შემარყვეველი ნებისყოფა  
და მრისხანება,  
ძლევის პათოსით, სიყვარულით  
მიექანება  
ლექსით, რომელსაც ჰქვია ინტერ-  
ნაციონალი,  
ერთაშორისად მოკვეთილი  
და ეროვნული.  
მილიონების მისწრაფების  
თანაზიარად

ბგი გენიის უმძაფრესად  
გადიქცა ქნარად,  
ერმა თავისი უშიშარი  
მონახა ბინა.  
ბელორუსია, საქართველო  
თუ უკრაინა —  
ერთმანეთს შეხვდა პოეზიით  
მოგიზგიზეთი,  
ადერბაიჯანი, ტაჯიკეთი  
და ყირგიზეთი  
სიმღერით მიდის. ის სომხეთი,  
იგი რუსეთი  
არ არის ძველი ჯოჯოხეთი  
და ბურუსეთი,  
არამედ ვრცელი, მშვენიერი  
გადასახედი.  
თურქმენეთია, უზბეკეთი  
თუ ყაზახეთი —  
მომღერალია უძლეველი  
თერთმეტი დროშის,  
ყველა თავის ხმით, ისე როგორც  
საქართველოში.  
ამ მეგობრობას სამუდამოდ  
გამქრალ ღრუბელით,  
ახალ ქალაქით, ახალ სოფლით,  
ახალ ყანებით  
გრძნობდა და ვიგრძნობ ჩემი ჩანგის  
თავისუფალის  
თავისუფალზე თავისუფალ  
აღფრთოვანებით.  
ყოფნა კავშირში, ყოფნა ძმობა —  
მეგობრობაში  
ურყვევლ გრძნობად ყველას გულში  
გვექონდეს წრთობილი

და საბოლოოდ მიღწეულბ  
იქნება მაშინ  
მიზანი ლექსის, გულწრფელი და  
კეთილშობილი.  
თუ საზღვარს იქით ბოროტებამ  
გაამნათობა  
და დაათოვა არემარეს  
ბრმა ძლიერება,  
თუ უმართლობა, სიბეჩავე  
და ძალადობა,  
გაუტანლობა, სიხარბე და  
ბიწიერება  
ანებიერებს და ამოძრავებს  
დიდ ფუფუნებით  
ოქროთი მოსილ უსირტხვილო  
დარბაზთ ზნეობას,  
თუ ეკლესია კვლავ გუგუნებს  
ვით გუგუნებდა  
კაპიტალს, მდიდართ მორჩილებას  
პირმოთნეობას,  
თუ მონას ვისაც ჯოჯოხეთით  
ამწუხარებდა  
ჩაგრულ მხარეთა მძიმე შრომის  
და მონობის გზა  
არ ახარებს კვლავ, ვით არასდროს  
არ ახარებდა  
არც გაზაფხულის, არც ზაფხულის  
მშვენიერი ცა,  
თუ ხეთ სიგრილეს სიყრმიდანვე  
გადაჩვეული  
შემოხეული ქართა ქროლით,  
ნისლთა ობობით,  
ხალხი სნეული, უსახლკარო  
და დამშეული,

ხელდაცარული, მოკლული დგას  
შემოდგომობით,  
თუ ვერ გრძნობ ისე, ვით ვერ გრძნობდა  
სითბო-სიმშვიდეს  
როცა ზამთარის დაიქროლებს  
სიცივე ავი,  
თუ ცით დასცქერის, ვით დასცქერდა  
კიდიით-კიდეს  
საბედისწერო, უღმობელი  
შავი ვარსკვლავი, —  
დიდი ხანია, რაც ვარსკვლავი  
ჩვენში გაბრწყინდა,  
დიდი ვარსკვლავი მეგობრობის,  
ძმურ სიყვარულის,  
ფრიალებს დროშა ქვეყნის მხსნელი,  
გრძნობათა წმინდა  
ზვავე აზვინდა პოეზიის  
ცეცხლის ფარულის.  
დროა, სიმღერის რომ მოსაველის  
ზღვა მოაქუჩო,  
დროა, სიმღერით რომ დაზგები  
ააკანკალო,  
გულმხიარულად და სიმღერით  
დაჰკარ, ჩაქუჩო,  
გულმხიარულად და სიმღერით  
მიდი, ნამგალო!  
ოქროს თავთავი, მეგობრებო,  
ავართვათ სამკალს  
და სამკაულად ეპოქისთვის  
დავწნათ გვირგვინი,  
გვირგვინი იგი გარს მოვაფლოთ  
ჩაქუჩს და ნამგალს,  
რომ გზა შეამკოს პოეზიის  
ნათელი ბრწყინვით.

გზებით, გაშლილით მომავლისთვის,  
მეომარ ლექსით  
აქეთ, ადიდეთ ჰუმანიზმით  
გატანა კვალის.  
გზებით — წარსულში ანთებულით  
მარქსით, ენგელსით,  
მომავლისაკენ მიფყვებართ ჩვენ  
ლენინს და სტალინს.  
აქეთ, ადიდეთ სამშობლოს  
ბედნიერების  
მეცნიერებათ სასწაულნი,  
მზე და კანდელი,  
გმირთ სიმამაცეთ მარადისი  
ჩანგი იქღერებს,  
რომ სძლიეს ყინულთ და ღრუბელთა  
კორიანტელი.  
ახალი ერა, მისი ახლათ  
ამეტყველება  
თან გღვედეს, ოდეს სამოძრაოთ  
ცად შევარდები,  
იყვნენ დღეგრძელნი, ჰე, მამულო,  
შენი მცველები,  
მგოსნებთან ერთად, დევგმირები  
და შევარდნები,  
ახალგაზრდობა, ყვაეილები,  
და მწვერვალები,  
შენი ქალები, მშვენიერი  
შენი ქალები;  
ჯარი დუშმანით არასოდეს  
არ კმაყოფილი,  
მტრის უნდობელი, მტერთან მტერი,  
ძმასთან კეთილი,  
რევოლუციის მოგუგუნე  
ცეცხლში შობილი,

ცხარე ომების ქარიშხალში  
გამობრძმედილი,  
სასო, იმედი მსოფლიოს  
ყოველი ერის,  
ყოველი ერის მოერთვულე  
ფარ-მუზარადი,  
შესრულებული გარდუვალი  
და დიდი ვალის,  
თავისუფლების დიდებულის  
მცველი მარადი,  
სიმღერით მოდის. არ გადუხვევს  
რჩეულ გზისაგან,  
სხვა გზა უცნობი ვერასოდეს  
ვერ შეირიგოს...  
იგი ისწრაფის კომუნისმის  
გამარჯვებისკენ,  
მაშ, გაუმარჯოს სიმართლისთვის  
მებრძოლ ლირიკას!

1940 წ.

25 — 27 იანვარი



გ მ რ ი

ჩვენი ღიახვი, თხრობის  
 გადაქცეული ჟინად,  
 დიდი ბელადის ყრმობის  
 მხარეს ამშვენებს. წინათ  
 აქ ცეცხლში ბრძმედილ რკინად  
 იდგა ტოლი და სწორი,  
 ომი მიაჩნდათ ლხინად, —  
 ასეთი იყო გორი.

გზებად — ველები მტრობის,  
 ციხის კედლები — ბინად,  
 ალყა მრავალი ხნობის,  
 დარტყმა მეხად და გრგვინვად;  
 ძვლებს, აქ მიმოყრილს ზვინად,  
 ფრთებს აზომებდა ქორი,  
 ომი მიაჩნდა ლხინად, —  
 ასეთი იყო გორი.

აღბათ, უყვარდა კობას  
 აქ დაფიქრება ხშირად:  
 სამშობლო მხარის, ძმობის  
 მცველებს სამარედ სძინავთ!  
 მტერთან გარეთ და შინად  
 არა ერთი და ორი  
 თავს დასტეხვია გმინვა, —  
 ასეთი იყო გორი.

კაცობრიობის ბრწყინვალ  
ჩანდა ვარსკვლავი შორი,  
ყრმა გასცქეროდა: „სძინავთ!“ —  
ასეთი იყო გორი.

სწუხდა ლიახვი: „თუ, მხარეო,  
დიდიხნის წინათ  
წინაპრებს ჩვენსა ცხარე ომი  
მიაჩნდათ ლხინად,  
ეს იყო ომი — არა ლხინით  
გულხელდაკრეფა,  
იერიშისთვის ძახილი და  
გულგამაგრება.

მაინც, რა ვიცი, დასაბამით  
დღესასწაულობს  
კაცთა ცხოვრება თავის ყოფნას  
უსამკაულოს,  
წამება, შიში და სიკვდილი  
მიდამოს აკრავს,  
ღარიბს და მცირეს — უღმობელი  
ძღვერი ჩაგრავს.

მტაცებელთ ომი მხოლოდ მისთვის  
მოიდრუბლება,  
რომელს აქვს ხალხზე ბატონობის  
მეტი უფლება.  
მათთვის რა არის ხალხის სისხლი —  
ღეე, იღვაროს,  
ოღონდ მტარვალმა იბატონოს  
და გაიხაროს.

მაგრამ ცხოვრება უნდა მისწვდეს  
იმ გასახსენებს,

კაცობრიობის დიდ მეგობრებს  
რომ არ ასვენებს.  
და გვასწავლიან სიკვდილისაც  
არ დარიდებას,  
რომ ბნელი მოსავს სიმართლეს და  
ქეშმარიტებას!

ქეშმარიტების დიდის  
ნისლს დაებურა ზღვარი,  
არალეგალურ რიდეს  
იხვევს დღეების ჯარი.  
ჩნდება სტალინის მხარი:  
რაზმთა ჩამოჰკვეთს მკვრივი,  
შეკამათება ცხარე,  
ქეშმარიტების სხივი.

ციხე, მუშათა ხიდი,  
მშვიდი ბათომის მთვარე,  
კიდევ კასპიის კიდე,  
გადასახლების მხარე.  
ლტოლვა ციხიდან. არე  
ტამერფორსისკენ დვივის,  
ლენინის ნახვა; ფარი  
ქეშმარიტების სხივის.

რა მძიმე გზებით ვლიდი —  
პრაგა, ლონდონის კარი,  
ხან ტურიხანის მიდის,  
ხან პეტერბურგის ქარი.  
ტყე, გაფიცვების ღვარი,  
ციხე, ციმბირი ცივი,  
ყველგან იმედად არის  
ქეშმარიტების სხივი.

ცხრაას ჩვიდმეტის გარეს  
მზე სწვდა მილიონმხრივი  
და მოეფინა მხარეს  
ქეშმარიტების სხივი!

ლენინთან ერთად, ოქტომბერის  
ბრწყინვალე დროშით  
სტალინი ბურჯი — განახლების  
გაეშვა დროში,

როცა მშრომელებს ახალ ხანად  
და ახალ ჟინად  
დაუნდობელი ომი მტერთან  
მიაჩნდათ ლხინად.  
მას შემდეგ ხალხთა გამარჯვების  
უძღვის დიდებას,  
რევოლუციას, მის უმაღლეს  
ქეშმარიტებას.

შემდეგაც, როცა შავი ძაძა  
ჩაიცივა მზემა,  
როს მძლავრი შეწყდა ნებისყოფა  
და მაჯისციემა,  
როცა გაისმა უმძაფრესი  
სიტყვები ფიცის  
(მსგავსი არც წინათ, არც აწმყოში  
მხარემ არ იცის),  
შენგან დაწყებულ მოძრაობას  
სდევს მოძრაობა,  
შენით ფოლადის იჭედება  
დიდი თაობა.

გზა არა ერთი მოგონების  
სიმძაფრეს ხედება,

თუ როგორ სურდა ახალგაზრდა  
თავისუფლება  
სისხლის მორევში რომ ჩაეხშო  
საზიზღარ ჯალათს,  
რანაირ ხერხს არ მიმართავდა,  
რანაირ ღალატს.  
წყევლა და კრულვა! მას ჰყოფნიდა  
გამბედაობა...  
გამარჯვებული წინ მიიწევს  
მძლავრი თაობა.

შეგნებამ კაცთა სიკეთის და  
მოვალეობის  
შემეცნებისკენ გახსნა არხი  
ყოველდღეობის.  
შემოქმედება — სიხარულის  
და შრომის ბალთა  
თავმოწონების და სახელის  
ემბლემად გახდა.  
დიდიხანია გაქრა ძონძი,  
სუსხი კატორღის,  
საცოდობა, სიბეჩავე  
დაკარგულ ქოხის,  
უნაყოფობა, სულიერი  
არარობა.  
ქვეყნად ფოლადის წინ მიიწევს  
მძლავრი თაობა.

თვალუწვედენელი ღამის შემდეგ  
გათენდა დილა,  
ცოდნით აივსო და ბუნება  
დაიმორჩილა.  
მოძრაობანი, სინათლის ზღვა,  
სითბოთ ბუნება,

მდინარეთ დენა მას მორჩილად  
ედუდუნება.

ადამიანი თვალუწვდენელ  
ნოხად დაიგებს  
პოლარულ ტუნდრებს და ციმბირის  
ულრან ტაიგებს,  
ქაობის ნაცვლად განახლებულ  
გულში ჩაისვა  
სურნელოვანი ყვავილები  
რამის, ჩაისა.

• ნარინჯის ველად გადაიქცა  
ლაქაშთა ქაფი:  
პალმა, ლიმონი, ევკალიპტი,  
პალმა და დაფი.

• თვალუწვდენია ჩვენი სივრცე,  
ველნი და ტყენი,  
უანგარიშო, ულევია  
სიმდიდრე ჩვენი,  
სულით და გულით ჩვენთან არის  
სიცოცხლე ლალი,  
სიღრმე მთებისა, ცის წიაღი,  
მიწის წიაღი,  
ღრუბელთ ვარდები, მთის სიმშვიდე,  
ზღვის ქანაობა.  
მიდის, ფოლადის წინ მიიწევს  
მძლავრი თაობა.

უბრწყინვალესი არის დღეთა  
ჩვენთა მსვლელობა,  
უმწეოს — შველა, სუსტს — სიმშვიდე  
და მფარველობა.  
მსოფლიოვ! როს სქვრეტ თავისუფალ  
შრომის სასახლეს,


როგორ არ გრძნობდე აღტაცებას  
და სიამაყეს?!

გადაილახა მიუდგომი  
საზღვრები ბედის,  
კაცობრიობის ცხოვრებაში  
სიცოცხლე შედის  
ჯანსაღ, მშვენიერ, სრულყოფილი  
ადამიანის.  
დღეგრძელობა და ვაშა სტალინს!  
დიდება სტალინს!  
მას კომუნიზმის მიჰყავს გემი  
გენიის სინჯვით,  
ჭაბუკურ ნებით და ჭარმაგის  
სიბრძნე-სიღინჯით!

---

ს ა რ ჩ ე ვ ი

|  |    |
|--|----|
| გალ. ტაბიძე — ბიოგრაფიული ცნობები . . . . .                  | 3  |
| 1. დროშები ჩქარა! . . . . .                                  | 7  |
| 2. ათრობდა ხალხთა მწუხარება . . . . .                        | 8  |
| 3. იმპერიალისტური ომის კოშმარი . . . . .                     | 9  |
| 4. გემი „დალანდი“ . . . . .                                  | 17 |
| 5. ჩვენ, პოეტები საქართველოსი . . . . .                      | 18 |
| 6. ჩენი მნათობი ცეცხლის ფერია . . . . .                      | 20 |
| 7. დაჰკა წერაქვი! . . . . .                                  | 22 |
| 8. რევოლუციურ საქართველოს . . . . .                          | 23 |
| 9. სიმღერა . . . . .   | 24 |
| 10. მხარი მხარს! . . . . .                                   | 25 |
| 11. ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ . . . . .                   | 26 |
| 12. აკაკის ლანდი . . . . .                                   | 27 |
| 13. მთაწმინდის მთვარე . . . . .                              | 29 |
| 14. ლურჯა ცხენები . . . . .                                  | 31 |
| 15. მე და ღამე . . . . .                                     | 32 |
| 16. მესაფლავე . . . . .                                      | 34 |
| 17. მერი . . . . .   | 41 |
| 18. ატმის ყვავილები . . . . .                                | 43 |
| 19. თოვლი . . . . .  | 45 |
| 20. მთვარის ნამბობიდან . . . . .                             | 47 |
| 21. ფერი მზესა და ქარს მოჰყავს . . . . .                     | 49 |
| 22. საბჭოთა ხალხის გამორული ეპოქა სჭედავს ხელოვანს . . . . . | 50 |
| 23. ჩემი სიმღერა . . . . .                                   | 51 |
| 24. ჩანგო! . . . . .   | 52 |
| 25. საუბარი ლირიკის შესახებ . . . . .                        | 53 |
| 26. გორი . . . . .   | 96 |





Г. ТАБИДЗЕ

Л И Р И К А

Детгюниздат ЦК ЛКСМ Грузии  
Тбилиси — 1940

რედაქტორი ა. მაშაშვილი

ტექნორედაქტორი ა. ვადაჭკორია  
კორექტორი მ. შანიძე

გადაეცა წარმოებას 19.3.1940 წ.  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.5.1940 წ.  
შთავლიტის რწმუნებულის № 2506  
წიგნის ზომა 6×10.  
ქაღალდის ზომა 84×110.  
ნაბეჭდ. ფ. რაოდენობა 6<sup>1</sup>/<sub>2</sub> ფ.  
შეკვეთის № 307. ტირაჟი 5.000.

საქ. ალკკ. ცენტრალური კომიტეტის საბავშვო  
და ახალგაზრდობის ლიტგაგონმცემლობა  
თბილისი — 1940

